ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 27 აგვისტო 2004 №198 (2219) ფასი 50 თეთრი


# ვერცხლით დაგვიწყვილდა

## ნოზაძემ ოქრო ნილოსს გაატანა







REUTERS

რამაზ ნოზაძე ვერცხლის პრიზიორია. ბერძნულ-რომაულად მოჭიდავე ექვსი ქართველიდან მხოლოდ მან გააღწია ფინალში და ხუთჯვრიანი დროშის ლაშქარს ერთი მედალიც შეაწია. 96 კილოგრამის ფინალში კი რამაზს ვეება ეგვიპტელი ქარიმ იბრაჰიმი დაუხვდა, რომელთანაც გურჯმა თავიდან დაწინაურება შეძლო, მაგრამ საბოლოოდ მიზეზთა გამო დათმო ორთაბრძოლა და ოლიმპიური ოქრო.

73 კილოგრამამდე წონაში იმარჯვა უზბეკეთის სახელით მოჭიდავე ალექსანდრე დოხტურიშვილმა და უცხო ქვეყნის პასპორტიან ქართველთა მონაგარი სამ ოქრომდე გაზარდა.

დღეიდან კი ათენის ხალიჩაზე გამოვლენ ბერძენ-რომაელთა „ბიძაშვილები“, თავისუფალი სტილის მოჭიდავენი. დღეს იწყებენ 66-კილოგრამიანი ოთარ თუშიშვილი, 84-კილოგრამიანი რევაზ მინდორაშვილი და მძიმე ლექსო მოდებაძე.

# გუშინ, როგორც ძველად: იყო დი-ნა-მო და იყო დინამო




გია გეგუჩაძის ნაწრთობი „დინამო“ ჩეხეთის მეორე გუნდზე მაღლა დადგა – გუშინ ეროვნულ სტადიონს გადაჭედილი ტრიბუნები თუ აკლდა, თორემ ფეხბურთი მართლაც საამო სანახავი იყო – „დინამომ“ გაგვახარა და იმედი მოგვცა, რომ გეგუჩაძე უფრო მეტს შესძენს გუნდს, რომ „დინამო“ ქართულ ფეხბურთს დიდ ფეხბურთე ლებს გაუზრდის, რო „დინამო“ ძველი დიდ ბის დაბრუნებას ეშურ ბა... „თბილისმა“ კი მ რიგი სირცხვილი აჭა ქართულ ფეხბურთს ვ რშავაში – საკუთარი კარის გოლებით ამოვსება ვერ გაექცა.

# ATHENS 2004

ეროვნული ბიბლიოთეკა

ATHENS 2004

## მედლების დაფა

| | | ო | ვ | ბ | სულ |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | აშშ | 28 | 31 | 24 | 83 |
| 2 | ჩინეთი | 25 | 17 | 12 | 54 |
| 3 | ავსტრალია | 16 | 11 | 15 | 42 |
| 4 | რუსეთი | 15 | 19 | 23 | 57 |
| 5 | იაპონია | 15 | 9 | 10 | 34 |
| 6 | გერმანია | 10 | 11 | 14 | 35 |
| 7 | საფრანგეთი | 10 | 7 | 10 | 27 |
| 8 | იტალია | 9 | 6 | 8 | 23 |
| 9 | რუმინეთი | 8 | 5 | 4 | 17 |
| 10 | უკრაინა | 8 | 4 | 7 | 19 |
| 11 | ს. კორეა | 7 | 10 | 5 | 22 |
| 12 | დიდი ბრიტანეთი | 7 | 8 | 10 | 25 |
| 13 | საბერძნეთი | 6 | 4 | 3 | 13 |
| 14 | ჰოლანდია | 4 | 8 | 8 | 20 |
| 15 | უნგრეთი | 4 | 6 | 1 | 11 |
| 16 | შვედეთი | 3 | 1 | 2 | 6 |
| 16 | თურქეთი | 3 | 1 | 2 | 6 |
| 18 | ახალი ზელანდია | 3 | 1 | 0 | 4 |
| 19 | ესპანეთი | 2 | 9 | 5 | 16 |
| 20 | კუბა | 2 | 4 | 7 | 13 |
| 21 | კანადა | 2 | 4 | 1 | 7 |
| 22 | ბელარუსი | 2 | 3 | 7 | 12 |
| 23 | პოლონეთი | 2 | 2 | 4 | 8 |
| 24 | ბრაზილია | 2 | 2 | 2 | 6 |
| 25 | სლოვაკეთი | 2 | 2 | 1 | 5 |
| 26 | საქართველო | 2 | 2 | 0 | 4 |
| 27 | ბულგარეთი | 2 | 1 | 7 | 10 |
| 28 | ტაივანი | 2 | 1 | 1 | 4 |
| 28 | ეთიოპია | 2 | 1 | 1 | 4 |
| 30 | ტაილანდი | 2 | 0 | 3 | 5 |
| 31 | ჩილე | 2 | 0 | 1 | 3 |
| 32 | ნორვეგია | 2 | 0 | 0 | 2 |
| 33 | ავსტრია | 1 | 4 | 1 | 6 |
| 33 | კენია | 1 | 4 | 1 | 6 |
| 35 | ჩეხეთი | 1 | 3 | 4 | 8 |
| 36 | ლიტვა | 1 | 2 | 0 | 3 |
| 37 | შვეიცარია | 1 | 1 | 3 | 5 |
| 38 | ინდონეზია | 1 | 1 | 2 | 4 |
| 38 | სამხრეთ აფრიკა | 1 | 1 | 2 | 4 |
| 40 | იამაიკა | 1 | 1 | 1 | 3 |
| 40 | ზიმბაბვე | 1 | 1 | 1 | 3 |
| 42 | მაროკო | 1 | 1 | 0 | 2 |
| 43 | დანია | 1 | 0 | 5 | 6 |
| 44 | ბელგია | 1 | 0 | 2 | 3 |
| 44 | აზერბაიჯანი | 1 | 0 | 2 | 3 |
| 46 | ბაჰამები | 1 | 0 | 1 | 2 |
| 46 | ეგვიპტე | 1 | 0 | 1 | 2 |
| 46 | ისრაელი | 1, | 0 | 1 | 2 |
| 49 | საამიროები | 1 | 0 | 0 | 1 |
| 49 | კამერუნი | 1 | 0 | 0 | 1 |
| 49 | ირანი | 1 | 0 | 0 | 1 |
| 49 | დომინიკის რესპ. | 1 | 0 | 0 | 1 |
| 49 | უზბეკეთი | 1 | 0 | 0 | 1 |
| 54 | ჩრდ. კორეა | 0 | 3 | 1 | 4 |
| 55 | მექსიკა | 0 | 3 | 0 | 3 |
| 56 | ხორვატია | 0 | 2 | 2 | 4 |
| 56 | ყაზახეთი | 0 | 2 | 2 | 4 |
| 58 | პორტუგალია | 0 | 2 | 1 | 3 |
| 59 | ლატვია | 0 | 2 | 0 | 2 |
| 59 | ფინეთი | 0 | 2 | 0 | 2 |
| 61 | სლოვენია | 0 | 1 | 3 | 4 |
| 62 | ესტონეთი | 0 | 1 | 2 | 3 |
| 63 | ჰონკონგი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 63 | სერბეთ-ჩერნიგორია | 0 | 1 | 0 | 1 |
| 63 | ინდოეთი | 0 | 1 | 0 | 1 |
| 66 | არგენტინა | 0 | 0 | 3 | 3 |
| 67 | კოლუმბია | 0 | 0 | 2 | 2 |
| 68 | მონღოლეთი | 0 | 0 | 1 | 1 |
| 68 | ტრინიდადი და ტობაგო | 0 | 0 | 1 | 1 |
| 68 | ერიტრეა | 0 | 0 | 1 | 1 |
| 68 | ვენესუელა | 0 | 0 | 1 | 1 |

## 26 აგვისტო

ოქრო-ვერცხლი-ბრინჯაო

ATHENS 2004

### ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

**კაცები**

**60 კგ**

1 ციუნ ცზი ხიუნი (ს. კორეა)
2 რობერტო მონზონი (კუბა)
3 არმენ ნაზარიანი (ბულგარეთი)

**74 კგ**

1 ალექსანდრე დოხტურიშვილი (უზბეკეთი)
2 მარკო იული-ჰანუკსელა (ფინეთი)
3 ვართერეს სამურგაშევი (რუსეთი)

**96 კგ**

1 ქარიმ იბრაჰიმი (ეგვიპტე)
2 რამაზ ნოზაძე (საქართველო)
3 მეჰმეთ ოზალი (თურქეთი)

### წყალბურთი

**ქალები**

1 იტალია
2 საბერძნეთი
3 აშშ

### მძლეოსნობა

**კაცები**

**სიგრძეზე ხტომა**

| | |
|---|---|
| 1 დუაიტ ფილიპსი (აშშ) | 8,58 მ |
| 2 ჯონ მოფიტი (აშშ) | 8,47 |
| 3 ხუან ლინო მარტინესი (ესპანეთი) | 8,32 |

**400 მ. თარჯრბენი**

| | |
|---|---|
| 1 ფელიქს სანჩესი (დომინიკის რესპ.) | 47,63 წმ |
| 2 დენი მაკფერლეინი (იამაიკა) | 48,11 |
| 3 ნორმან კეიტა (საფრანგეთი) | 48,26 |

**200 მ.**

| | |
|---|---|
| 1 შონ კროუფორდი (აშშ) | 19,79 წმ |
| 2 ბერნარდ უილიამსი (აშშ) | 20,01 |
| 3 ჯასტინ გალტინი (აშშ) | 20,03 |

### ფეხბურთი

**ქალები**

1 აშშ
2 ბრაზილია
3 გერმანია

ფინალი

**აშშ 2:1დ.დ.(1:1) ბრაზილია**

### თავისუფალი ჭიდაობა

# ვიწყებთ მეორე განყოფილებას

## კენჭისყრა მხოლოდ მინდორაშვილს უღიმის

**ამ მსაჯებმა** ლამის ყველანაირი ჭიდაობა შეგვაზიზღეს. არ ვიცით, სად გადის მათი უნამუსობის ზღვარი, მაგრამ ბოლო სამი დღის განმავლობაში რომ მთელ საქართველოს ნერვები დააწყვიტეს და მასკარადი აყურებინეს, ეს კი ფაქტია. როგორია, 4 წელიწადი ემზადები, იმედით მიდიხარ ოლიმპიადაზე და ვილაც კაზარიანი და მისი ამფსონები თავიანთ ტაშ-ფანდურზე ანაწილებენ მედლებს.

ასეა თუ ისე, საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრები ათენი-2004-ის იმედგაცრუებად გვექცა. ვერ არის ერთი ვერცხლი ის შედეგი, რასაც ველოდებოდით. აბა, ახლა მათი პატრონების როგორ უნდა გვეიმედებოდეს, მაგრამ მსაჯებმა იქნებ, ოლიმპიადის ბოლო დღეებში მაინც მოგვასვენონ. ექვსი იმედი დაგვრჩა ქართველებს: თავისუფალი სტილით მოჭიდავეები დღეს შეესევიან ათენურ ხალიჩას.

დღეს სამი ჩვენებური დაიწყებს: ოთარ თუშიშვილი (66 კგ), რევაზ მინდორაშვილი (84 კგ) და ლექსო მოდებაძე (120 კგ). გუშინ კი მათი წონითი კატეგორიების კენჭისყრა გაიმართა.

არ გაუმართლა ოთარ თუშიშვილს, რომელსაც ჯგუფში მეტოქედ გაუკრაინელებული ოსი ელბრუს თედეევი შეხვდა. თედეევი 2003 წლის მსოფლის ჩემპიონია და საერთოდაც, მუდმივად პრიზიორებს შორისაა. იგი ამ წონითი კატეგორიის ერთ-ერთი უმთავრესი ფავორიტია. რაც შეეხება კუბელ სერგეი რონდონს, მას რაიმე ხმაურიანი წარმატებისთვის არასოდეს მიუღწევია.

თუშიშვილის დარად, მძიმეწონოსანი ლექსო მოდებაძეც ურთულეს მეტოქეს დაეჭიდება. კურამაგომედ კურამაგომედოვი ამჟამად მართლაც უძლიერესია და მარტო ის სად ღირს, რომ საოლიმპიადო ნაკრებში თვით მუსულბესს წაართვა ადგილი. ლექსოს ორი-სამი თვის წინ მცირე ტრავმა კი აწუხებდა, მაგრამ ამჟამად ჯანზეა და, ვინ იცის, სიურპრიზიც შემოგვთავაზოს.

დღეს გამოსასვლელი ქართული ტრიოდან ყველაზე მეტად რევაზ მინდორაშვილის გვეიმედება და იცოცხლეთ, კენჭისყრამაც გაუმართლა კოლაგელ ფალავანს. არც ფრანგი ავესი და არც ბერძენი დოიზიდისი მინდორაშვილს კლასით ახლოსაც ვერ მიუვლენ. ჩვენებურს დოიზიდისი სამჯერ ჰყავს დაბრიყვებული, მაგრამ ამჯერად მაინც ყურადღებით მართებს — მასპინძელთან აქვს საქმე... რევაზს არც მეოთხედფინალში ელოდება აუღებელი ციხე-სიმაგრძე — ის კი არა, სასწაული უნდა მოხდეს, ჩვენებური ნახევარფინალს რომ ვერ მისწვდეს. და კიდევ, 27 წლის მინდორაშვილი ფინალამდე არ შეხვდება თურქ გოქჰან იავასერს, რომელთანაც წლეულს ევროპის ჩემპიონატის ფინალი დათმო.

**ილია ნანობაშვილი**



66 კგ

1 ოთარ თუშიშვილი
2 სერგეი რონდონი (კუბა)
3 ელბრუს თედეევი (უკრაინა)

27 აგვისტო: თუშიშვილი — რონდონი (12:55 სთ); თუშიშვილი — თედეევი (16:55)

მეოთხედფინალი. სავარაუდო მეტოქეები: აპოსტოლოს ტასკუდისი (საბერძნეთი), ზირეირ ოგანესიანი (სომხეთი), კუმარ რამეში (ინდოეთი)

28 აგვისტო: ნეხევარფინალი; ფინალი



84 კგ

1 რევაზ მინდორაშვილი
2 ვისენტ აკა ავესი (საფრანგეთი)
3 დაზარის დოიზიდისი (საბერძნეთი)

27 აგვისტო: მინდორაშვილი — დოიზიდისი (10:52 სთ); მინდორაშვილი — აკესი (12:00 სთ)

მეოთხედფინალი. სავარაუდო მეტოქეები: დავით ბიჩინაშვილი (გერმანია), ჯეფრი გობი (გუამი), იოელ რომერო (კუბა)

28 აგვისტო: ნახევარფინალი; ფინალი



120 კგ

1 ლექსო მოდებაძე
2 ოტო აუბელი (უნგერთი)
3 კურამაგომედ კურამაგომედოვი (რუსეთი)

27 აგვისტო: მოდებაძე — აუბელი (12:50 სთ); მოდებაძე — კურამაგომედოვი (17:50)

მეოთხედფინალი. სავარაუდო მეტოქეები: მარეკ გარმულევიჩი (პოლონეთი), პლაუნდერ ჩემა (ინდოეთი), არტურ ტაიმაზოვი (უზბეკეთი)

28 აგვისტო: ნახევარფინალი; ფინალი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველო, რამდენი გყავს შვილი გადაკარგული

**გუშინ** უცხოეთში წასულ ქართველთა მონაგარი კიდევ ერთი ოქროთი გამდიდრდა და საქართველოს ნაკრების ყულაბასთან შედარებით უფრო მეტადაც დამძიმდა. ჯარჯი ზვიადაურისა და ანა დოლონაძის შემდეგ ოქროს მედალი ბერძნულ-რომაულად მოჭიდავე ალექსანდრე დოხტურიშვილმაც მოიპოვა და უზბეკეთის ჰიმნი ათენში პირველად ააჟღერა. საქართველოს მედლებსაც შეემატა ერთი, თუმც დოხტურიშვილისაზე ნაკლები ხარისხისა.

ქართველ ბერძენ-რომაელთა ბოლო იმედმა რამაზ ნოზაძემ გუშინ მეოთხედფინალით დაიწყო და ფინალამდე მივიდა. პირველ შეხვედრაში რუსეთის ნაკრების ქართველ იმედს გოგი კოღუაშვილს დაეჭიდა და საკმაოდ იოლად დასცა. მედალი კი გენადი ჩძაიძის მძლეველ ირანელ მასუდ ჰაშემზადესთან ნახევარფინალში გამარჯვებით გაინაღდა.

ნოზაძის ბოლო მეტოქე უძლიერესი ეგვიპტელი ქარიმ იბრაჰიმი იყო, რომელთანაც რამაზს ბოლო მსოფლიოს ჩემპიონატზეც წაეგო და რომელსაც ათენში სერიოზული წინააღმდეგობა ვერავინ გაუწია. იბრაჰიმისა და თურქი მეჰმეთ ოზალის ნახევარფინალური ჭიდაობის შემხედვარეთ ნოზაძის ოქროს იმედი მინიმუმამდე შეგვიმცირდებოდათ, ეს დევი ვინააო, მაგრამ ფინალი მაინც ქართველის კარნახით დაიწყო.

რამაზი პირველივე წამებზე დაწინაურდა და იქვე აიტაცა იბრაჰიმი, უკანაც გადააგდო, მაგრამ ეს არც ისე სუფთად გამოუვიდა და მსაჯებმა ორი ქულა არაბს ჩაუწერეს. მერე კი





REUTERS ათენიდან

ალექსანდრე დოხტურიშვილმა უზბეკეთს პირველი ოქრო მოუპოვა, რამაზ ნოზაძემ კი ქართველ ბერძენ-რომაელებს პირველი მედალი

ყველაფერი იმ სცენარით წარიმართა, ქართველ გულშემატკივრებს ბერძნულ-რომაულის მსაჯები რომ გვაჩვევენ ბოლო სამი დღის განმავლობაში. ნოზაძე ზედიზედ ოთხჯერ დააყენეს ჩოქბჯენში და მანამ არ წამოაყენეს, სანამ რვა ქულით არ ჩამორჩა. წინ კიდევ სამი წუთი იყო, თუმც შეხვედრის ვინლა მოატრიალებდა. პირიქით, იბრაჰიმმა კიდევ ერთი გდება გააკეთა და ბრძოლაც ვადაზე ადრე შეწყდა.

74 კილოგრამის ფინალში დოხტურიშვილმა 4:1 მოუგო ფინელ მარკო ინი-ჰანუკსელას, თუმც პრინციპულ გამარჯვებას ნახევარფინალში მიაღწია რუს ვართერეს სამურგაშევთან.

60 კილოგრამის ფინალში სამხრეთკორეელი ჰიუნ იუნგ ჟი და კუბელი რობერტო მონზონი გავიდნენ, იქ კი კორეელმა იმარჯვა.

ბოლოს ისევ ქართველთა მედლებს მივუბრუნდეთ. ოლიმპიური თამაშების დასრულებამდე სამი დღით ადრე საქართველოს ნაკრების ყულაბაში ორი ოქრო და ორი ვერცხლია, ხოლო მამლუქმა ქართველებმა უკვე სამი ოქრო, ერთი ვერცხლი და ერთიც ბრინჯაო მოიმკეს. ეს ყველაფერი რომ საქართველოსი იყოს... იხილეთ მეორე გვერდზე ქვეყანათა მონაგარი და ასწიეთ საქართველო ათიოდ ადგილით მაღლა.

ოთარ მაღლაკელიძე

# ხალათი და ქისა გურჯ ფალავანს!

## დოხტურიშვილმა ათენში უზბეკები გამოაჩინა

ავთანდილ გურასაშვილი



ათენიდან

გუშინ ხალიჩაზე ბერძნულ-რომაულად მოჭიდავე ქართველთაგან შემორჩენილი ჩვენი ბოლო იმედი რამაზ ნოზაძე გამოვიდა. თუმცა, 26 აგვისტოს ჭიდაობდნენ სხვა ქართველებიც, რომლებიც უცხო ქვეყნების სახელს იცავდნენ. მათ შორის იყო ალექსანდრე დოხტურიშვილიც (74 კგ), რომელმაც უზბეკებს ათენში პირველი ოლიმპიური ოქრო მოუტანა.

უზბეკები ტრიბუნაზე ჩვენი რამაზ ნოზაძის გულშემატკივრებს მიუჩოჩდნენ და დროშების ფრიალით ამხნევებდნენ თავიანთ ჯილას. იქით ქართველობა ყვიროდა დოხტურიშვილის გასამხნევებლად და აქეთ უზბეკობა. ორივემ გაიხარა, თუმცა უზბეკები სიხარულით ლამის გაგიჟდნენ. დოხტურიშვილს უმალ ოქრომკედით ნაქარგი მოსასხამი უბოძეს, თავზეც ოქრომკედით ნაქსოვი ჩალმა დაახურეს და ნამდვილ ფადიშაჰს დაამგვანეს. იმ მოსასხამში, როგორც ტრიბუნიდან მისი გადამცემი ეიფორიაში შესული ბიძა გვიყვება, 200 000 დოლარი იდო! ბედნიერებით აღვსილი დოხტურიშვილი, რომელიც ჯერ კიდევ შარშან საქართველოს ღირსებას იცავდა, ტრიბუნაზე უზბეკებსაც ესალმებოდა და ქართველობასაც, მათ შორის ჩვენს პირველ ქალბატონ სანდრა რულოვსს. სანდრა რულოვსი, თავის მხრივ, დოხტურიშვილს ტრიბუნებს პირველი რიგიდან საქართველოს ხუთჯვრიანი ალმის ფრიალით ამხნევებდა.

ქართველ მამლუქს ალმის ფრიალით დედასთან, ერთად ამხნევებდა პატარა ედუჩიც, როგორც ჩვენი პირველი ქალბატონი თავის ვაჟიშვილს მოფერებით ეძახის. საბერძნეთში გუშინწინ გემით ჩასული ქალბატონი სანდრა დილიდანვე შვილთან ერთად ეწვია მოჭიდავეთა დარბაზს რამაზ ნოზაძის საგულშემატკივროდ.

რამაზმა მეოთხედფინალში რუსეთის სახელით მოჭიდავე მსოფლიოს ხუთნგზის ჩემპიონ კოღუაშვილს რომ სძლია, ყველას ჩვენი ფალავანის ჩემპიონობის იმედი გაგვიჩნდა. მართლაც, რამაზმა ნეხევარფინალური შეხვედრაც მოიგო, მაგრამ ფინალში ეგვიპტელ ქარიმ იბრაჰიმთან ვერას გახდა. ეგვიპტელმა ეს გამარჯვება ძალზე ემოციურად, პირდაპირ სარბიელზე აკრობატივით სულ ბზრიალ-ბზრიალით და მალაყებით აღნიშნა. ეგვიპტისთვის ეს ოქროს მედალი მეტად განსაკუთრებულია, რადგან ამ ქვეყანას 1948 წლის ლონდონის ოლიმპიურ თამაშებზე მოპოვებული ორი ოქროს მერე გამარჯვება არ ღირსებია.

ნოზაძე იბრაჰიმთან შარშანდელ მსოფლიოს ჩემპიონატშიც დამარცხდა. მაშინ რამაზმა ბრინჯაოს, იბრაჰიმმა კი ოქროს მედალი მოიპოვა. მერე რამაზმა მსოფლიოს თასი მოიგო. მაშინ ხმები დაირხა, რომ ნოზაძემ იბრაჰიმთან სრულფასოვანი რევანში აიღოო. ამიტომაც ჩვენი მოჭიდავისგან ახლაც გამარჯვებას ველოდით, მაგრამ ეგვიპტელმა ცივი წყალი გადაგვასხა და ოქროს მედალი ალბათ, მაინც სამართლიანად მოიპოვა. ამიტომაც, რამაზ ნოზაძეს მერე მსოფლიოს თასის გათამაშებაში ეგვიპტელის ძლევაზე ჩამოვუგდეთ სიტყვა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ის ინფომაცია მცდარი ყოფილა და ჩვენი მოჭიდავე ეგვიპტელს მაშინ საერთოდ არ შეხვედრია.

„მიხარია, რომ ათენის ოლიმპიურ თამაშებზე სამეულში მოვხვდი. ვერცხლის მედალი ცუდი არ არის. რა თქმა უნდა, პირველი ადგილი უკეთესი იქნებოდა, მაგრამ დღეს ჩემი დღე არ იყო“ — გვითხრა რამაზ ნოზაძემ და ასე დაგვემშვიდობა — მომავალში იბრაჰიმსაც რაღაცას მოვუხერხებო. ეგვიპტელმა კი გვითხრა, ეს ოქრო ჩემს თავს მივუძღვენი, ვერცერთ შეხვედრას ვერ გამოვარჩევ, ყველა ბრძოლას ერთნაირი პასუხისმგებლობით ვუდგები, მაგრამ თუ მაინცდამაინც რომელიმე უნდა გამოვყო, შედარებით მძიმე ნოზაძესთან შეხვედრა იყოო. მერე, არავის რომ უკითხავს, ისეთ თქვა — რამაზი ახალგაზრდა, პერსპექტიური მოჭიდავეა, მომავალი წინ აქვს და მეტსაც მიაღწევს, რაზეც საერთაშორისო სარბიელზე მისი აქამდელი წარმატებებიც მეტყველებსო.

მართლაც, რამაზ ნოზაძეს ყველანი ფენომენალურ კარიერას უწინასწარმეტყველებენ. უსაფუძვლო ნათქვამი სულაც არაა. აქ, ათენში ეგვიპტელმა იკარელინა, მაგრამ, ოლიმპიური ვერცხლი ნამდვილად არაა ცუდი შედეგი, მით უმეტეს ნოზაძისთვის, რომელიც თვენახევრის წინ ახალგაზრდულ ტურნირებში გამოდიოდა.




REUTERS ათენიდან

ალექსანდრე დოხტურიშვილი უზბეკებისთვის ეროვნულ გმირად იქცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძიუდო

# იღბალი და სამართალი

## დავით ქევხიშვილი: ტროფიმოვმა ბრაზილიელი ირჩია

არაობიექტურმა მსაჯობამ ათენში არაერთი ქართველი სპორტსმენი დააზარალა. პირველი მათგანი ძიუდოისტი დავით ქევხიშვილი იყო. მისი რეპეშაჟული ნახევარფინალის შემდეგ გულშემატკივრების „ტკბილ-ტკბილი" სიტყვების ადრესატი რუსი ანატოლი ტროფიმოვი გახდა. ამ არბიტრმა ქევხიშვილს და საქართველოს ბრინჯაოს მედალი დააკარგვინა და ათენიდან დაბრუნებულ დავითს პირველ რიგში იმ უსამართლობაზე სასაუბროდ შევეხმიანეთ, მაგრამ ჩვენდა გასაკვირად, მან მსაჯზე ლაპარაკს შეცდომების აღიარება არჩია

— კენჭისყრაზე ლაპარაკი ცოტა უხერხულია. რომელ ბადეშიც უნდა მოვხვედრილიყავი, ყველგან ძლიერთან მომიწევდა ჭიდაობა. იაპონელი მასაჰირო ტაკამაცუც ძალიან უხერხული და არასასურველი მეტოქე იყო. მასთან წლეულს პარიზის საერთაშორისო ტურნირზე წავაგე, მაგრამ ათენში ვაჯობე.

— იაპონელი ძლიერი კია, მაგრამ შეხვედრის პირველივე წამებზე ჩანდა, რომ შენი მომგები არ იყო.

— ოლიმპიადაზე პირველად ვიყავი, პირველ ბრძოლას ვატარებდი და მასში მთელი სული და გული ჩავაქსოვე.

— ამ გამარჯვებამ ხალხს მორიგი მედლის იმედი ჩაუსახა, თუმც მეორე წრეში ტააკმაცუზე სუსტ რუსთან ვიტალი მაკაროვთან წააგე. რა დაგემართა?

— ვერ ვიტყვი, რომ მაკაროვი სუსტი იყო. იგი საათენოდ საკმაოდ კარგად იყო მომზადებული, მაგრამ მაინც დასანანი მარცხი მაწვნია.

— ეკრანიდან ჩანდა, თითქოს მაკაროვთან თავიდანვე ცოტა შებოჭილი გახვედი საჭიდაოდ. ასე იყო?

— საბრძოლო შემართება აბსოლუტურად იგივე მქონდა, თუმც ალბათ მეტოქის სიძლიერეზე მეტად ჩემმა შეცდომამ წამაგებინა. ველოდი მომენტს, რათა ილეთზე გამომეჭირა, რაც ვერაფრით მოვახერხე. წასაგები შეხვედრა ნამდვილად არ იყო, მაკაროვს აქამდეც ორჯერ შევხვდი და ორჯერვე ადვილად მოვუგე.

— ამ ფაქტორმაც ხომ არ შეგიშალა ხელი?

— შეიძლება ასეც იყო. თან ალბათ დაწვრილებითაც შემისწავლა და ზუსტად ისე მეჭიდავა, როგორც ხელს აძლევდა.

— და მაინც, რის ხარჯზე მოგიგო?

— ძნელი სათქმელია. ჩემზე უკეთ მომზადებული, მგონი, არ ყოფილა. ფიზიკურადაც ვერ მჯობდა. თავადაც ვერ ვხსნი. ალბათ უფრო მეტად უნდა შემეტია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ თავი დავზოგე. პირველ წრეში იაპონური ბარიერი კი გადავლახე, მაგრამ ტაკამაცუ ძალიან ძლიერი იყო და დიდი ენერგია შევალიე. მაკაროვმა კი შედარებით იოლად მოიგო.

— მოულოდნელმა მარცხმა საერთოდ ბრძოლის გაგრძელების ხალისიც ხომ არ გაგიქრო?

— ძალიან განვიცადე, მაგრამ მეტი რაღა გზა მქონდა, რეპეშაჟში გადავერთე.

— რეპეშაჟში გაბერძნებულ ქართველს ლავრენტი ალექსანიდისს. მანამდე თუ იცნობდი?

— რა თქმა უნდა, ვიცნობდი, გივიაშვილია გვარად. მასთან ერთად ერთხელ შეკრებაზეც ვარ ნამყოფი, მაგრამ სერიოზულად აქამდე არასოდეს შევხვედროდი.

— ალექსანიდისის შემდეგ მონღოლსაც სძლიე და რომ არა რუსი მსაჯი ანატოლი ტროფიმოვი, ბრინჯაომდეც მიხვიდოდი...

— ბრაზილიელთან შეხვედრის ვიდეოჩანაწერს ბევრჯერ ვუყურე. ეს იყო ბრძოლა, რომლის ბედის გადაწყვეტა მთლიანად მსაჯზე იყო დამოკიდებული. გდებებზე საუბარი ახლა ცოტა ძნელია. ნამდვილად არ მახსოვს და ჩანაწერშიც არ ჩანს კარგად, ხალიჩის შიგნიდან დავიწყე ილეთი თუ გარედან. აი, გაფრთხილებას კი ჩემზე არანაკლებად ბრაზილიელიც იმსახურებდა. სამწუხაროდ, რუსმა არჩევანი ბრაზილიაზე გააკეთა და ყველაფერი დამთავრდა.

— შეხვედრის მერე ხომ არ გისაუბრია ტროფიმოვთან?

— სიტყვაც არ მითქვამს. პირდაპირ გასახდელში წავედი. მერე გავიგე, რომ კულისებში რაღაც საუბარი ყოფილა, თუმც ოფიციალურად ეს ვერაფერს შეცვლიდა. კამათს აზრი არ ჰქონდა.

—ასეა თუ ისე, პირველი ოლიმპიადა ცუდად დაგამახსოვრდა...

— წაგების გადატანა ძალიან ძნელია, მით უმეტეს, როცა ატყობ, რომ მიზნამდე ერთი ნაბიჯილა გაკლდება, მაგრამ ოლიმპიურ წნეხზე საუბარი ცოტა გადაჭარბებულად მიმაჩნია. სხვა ტურნირებთან მცირე სხვაობა, ცხადია, არის, მაგრამ არც ისე დიდი.

— ზემოთ გივიაშვილი ახსენე. საქართველოდან წასულ ბერძნებთან როგორი ურთიერთობა გქონდათ?

— საბერძნეთის ძიუდოს ნაკრებში ოთხი ქართველი გამოდიოდა და მათაც ისევე ვგულშემატკივრობდით, როგორც ჩვენს თანაგუნდელებს. ძალიან კარგი ბიჭები არიან, სულ ჩვენს გვერდით იდგნენ და თვითონაც გვქომაგობდნენ.

— ჯარჯი ზვიადაურის გაჩემპიონებას ტრიბუნებიდან უყურე?

— პირველ შეხვედრებს ტრიბუნიდან, ფინალისას კი ზურაბ ზვიადაურის გვერდით ვიყავი სავარჯიშო დარბაზში და იქ ვუყურებდით ტელევიზორში. ძალიან გაგვიხარდა.

— ჯარჯისთან ალბათ სხვა წასულებთან შედარებით ყველაზე ახლოსაც ხარ...

— ჩვენს გვერდითაა გაზრდილი. 4-5 წელი ერთ დარბაზში ვვარჯიშობდით. ათენში ისეთ ფორმაში იყო, ფინალამდეც კი ვიცოდით, რომ ჩემპიონი გახდებოდა. ნამდვილი ტალანტია.

— მეორე დღეს მეორე ზვიადაურის ჭიდაობას როგორ განიცდიდი, ეს უკვე ეკრანზეც ჩანდა.

— ქართველ გულშემატკივრებში გავერიე და მათ გუგუნს ჩემი ხმაც შევუერთე. დროშებიც ვაფრიალეთ და ბედნიერებმა ვიტირეთ კიდეც. ზვიადაური ძალიან ძლიერ ბადეში მოხვდა, მაგრამ აზრიანი და თავდაჯერებული ჭიდაობით ყველას გაუმკლავდა.


ქოთოლაშვილის ფოტო

პირველი ოქროთი გამოწვეული სიხარული მართლაც შეუდარებელი რამ იყო.

— ზვიადაურებმა ოქროები ერთად ხომ არ აღნიშნეს?

— ასეც იქნებოდა, ჯარჯის რომ მოეცალა. გაჩემპიონების შემდეგ იგი ხელიდან ხელში გადადიოდა. ალბათ ასეც იქნება, თუ ჩვენი წამოსვლის შემდეგ არ უზეიმიათ.

— სეზონი უკვე დასრულდა. წლის ბოლომდე რა გეგმები გაქვს?

— დიდი ტურნირები მომავალ წლამდე აღარ გველის. ახლა ცოტა ხნით სოფელში მინდა ჩავიდე. ჩემს წარუმატებლობაზე იქაც გვარიანად ინერვიულეს. ყველა მამხნევებს და ცდილობს, მიზეზი თვითონვე ახსნას, მაგრამ წაგებას რა დამავიწყებს. რაც მოხდა, გულდასაწყვეტი იყო, მაგრამ გასულ სეზონს ცუდს მაინც ვერ დავარქმევ თუნდაც იმიტომ, რომ ტრავმიანობის შემდეგ ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაო ავიღე და ათენში ჭიდაობის უფლება მოვიპოვე. ბევრი კარგი სპორტსმენი ხომ ოლიმპიადაზეც ვერ მოხვდა.

**ოთარ მაღლაკელიძე**

კალათბურთი

# გაანძრია და ეშველა

## ამერიკამ ამერიკა იპოვა

26 აგვისტო
მეოთხედფინალი

**აშშ 102:94 ესპანეთი**
აშშ: მარბერი (31), აივერსონი (16)
ესპანეთი: გასოლი (29)

**ლიტვა 95:75 ჩინეთი**
ლიტვა: მასიაუსკასი (32)
ჩინეთი: მინგი (29 ქულა, 11 მოხსნა)

**იტალია 83:70 პუერტო რიკო**
იტალია: ბულერი (20), ბაზილე (18), მარკონატო (15 ქულა, 12 მოხსნა)
პუერტო რიკო: აიუსო (24), აროიო (23)

**არგენტინა 69:64 საბერძნეთი**
არგენტინა: ობერტო (13), ჯინობილი (13)
საბერძნეთი: ხაძივრეტასი (12)

ამერიკელები დროულად მიხვდნენ, რომ უშრომ-უბრძოლველად არავინ არაფერს დაუთმობდა, ხელ-ფეხი გაანძრიეს და გადარჩნენ. სამეოთხედფინალოდ ძლიერი მეტოქე კი შეხვდათ, პაუ გასოლის ესპანეთი ურთულესი A ჯგუფიდან მეოთხედფინალში დაუმარცხებელი გავიდა და მხოლოდ მედალზე თუ ფიქრობდა. მით უმეტეს, ამერიკის ნაკრები, ეს წლებია, სულაც არ ითვლება გადაულახავ ბარიერად. ნბა-ში ჭიპმოჭრილმა გასოლმაც, რომელიც მხოლოდ 24 წლის გახლავთ, მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს მეფარეს ტიმ დანკანსაც აჯობა და დანკანის ყველა შედარებით ტანმორჩილ თანამეფარესაც (ოდომი, ბუზერი, სტუდემაიერი). ფარქვეშ რამდენჯერმე ისე დარტრიალდა და ჩატენა, ლარი ბერდის და მეჯიქ ჯონსონის თანამედროვე ევროპელები ყველაზე თამამ ოცნებაშიც ვერ გაუბედავდნენ კალათბურთის ნახევარღმერთ ამერიკელებს.

მაგრამ დროება შეიცვალა, დანარჩენი სამყარო ოკეანგაღმელი ჯადოქრების მემკვიდრეებს ქუსლებზე აბიჯებს და ამ თამაშშიც ყველაზე შორსმჭვრეტელი სპეციალისტიც ვერ იწინასწარმეტყველებდა ამერიკელების ან ესპანელების გამარჯვებას. შეხვედრა დაძაბული, უხვქულიანი, სანახაობრივი და ფინალის საკადრისი გამოდგა.

ამერიკელები ცდილობდნენ, სწრაფი ტემპი მოეხვიათ მეტოქისთვის და რაც შეიძლება ხშირად გამოეჭირათ პირველ სწრაფ შეტევებზე. ამით კარგადაც იხეირეს, მაგრამ დაცვაში ჭკვიანურად ჩალაგებულ ესპანელებს საბოლოოდ მაინც სხვა კომპონენტით აჯობეს. ბოლო წუთებამდე ლამის ქულა-ქულაში მიმდინარე თამაშში გარდატეხა სტივენ მარბერიმ შეიტანა. ნიუიორკელ ცქვიტ გამთამაშებელს, მიუხედავად იმისა, რომ მუდამ სასტარტო ხუთეულში თამაშობს, ჯგუფური ეტაპის ხუთ შეხვედრაში სულ 21 ქულა შეეკოწიწებინა, ახლა კი მოხსნა გუდას პირი, ისროლა და ისროლა სამქულიანები და ესპანეთს დაანახა, ეს საქმე ევროპელებზე უარესად არ გვეხერხებაო. საბოლოოდ ექვსი სამიანი გამოაცხო და 31 ქულა მოაგროვა, რაც ამ ოლიმპიადაზე ამერიკული რეკორდი გახლავთ.

ამერიკელებს ნახევარფინალში ძველი და უსიამოვნო მეტოქე შეხვდათ. არგენტინა ერთი ხანობა, 11 ქულით აგებდა მასპინძელ საბერძნეთთან, მაგრამ იყოჩაღა და დროულად წაართვა უპირატესობა მეტოქეს. მასპინძლებმა ბოლო წამებში სხვაობა მინიმუმამდე (64:65) შეამცირეს, მაგრამ მეტი ველარ შეძლეს.

მეორე ნახევარფინალურ წყვილს კი ევროპის ჩემპიონი ლიტვა და მასზე არანაკლებ მომართული იტალია შეადგენენ. B ჯგუფიდან დაუმარცხებლად გასულ ლიტველებს მეოთხედფინალში ყველაზე იოლი მეტოქე შეხვდათ. მართალია, მათ ვერაფერი მოუხერხეს გოლიათ იაო მინგს, მაგრამ სამაგიეროდ იოლად მოღრიკეს სხვა ჩინელები.

**კოტე ყორშია**


REUTERS ათენიდან

სტივენ მარბერიმ თავისი მაინც გაისროლა

## ინგლისი

### პრემიერლიგა. III ტური

**არსენალი 3:0 ბლექბერნი**

1:0 ანრი (50), 2:0 ჟილბერტო სილვა (58), 3:0 რეიესი (79)
არსენალი: ლემანი, ლორენი, ტურე, სიგანი, ე. კოული, პენანტი (ლიუნგბერგი 77), ჟილბერტო სილვა, ფაბრეგასი (ფლამინი 86), პირესი, ბერხკამპი (რეიესი 77), ანრი
მწვრთნელი: არსენ ვენგერი
ბლექბერნი: ფრიდელი, ნაილი, შორტი, მ. გრეი, გრეშკო, ემერტონი, თუგაი (დე პედრო 77), იოჰანსონი, მატეო, დიკოვი, სტიდი (იორკი 63)
მწვრთნელი: გრემ სუნესი
გაფრთხილება: ანრი, ფაბრეგასი, ემერტონი, ნაილი, შორტი, მატეო
მსაჯი: ბერი
37 496 მაყურებელი

**ნიუკასლი 2:2 ნორვიჩი**

1:0 ბელამი (40), 2:0 ჰიუზი (50), 2:1 ბენტლი (52), 2:2 დოჰერტი (74)
ნიუკასლი: გივენი, კარი, ჰიუზი, ობრაიენი, ბერნარდი, მილნერი (ამეობი 75), დაიერი (ბოიერი 84), ბათი, რობერი, ბელამი, შირერი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
ნორვიჩი: რ. გრინი, ედუორტი, ფლემინგი, ჩარლტონი, დრური, მაკვეიგი (ილსონი 67), ფრანსისი, ჰოლტი, ბენტლი (მაკკენზი 71), ჰაკერბი, დოჰერტი
მწვრთნელი: ნაიჯელ უორზინგტონი
გაფრთხილება: ფლემინგი
მსაჯი: ჰესლი
51 574 მაყურებელი

**ჩარლტონი 3:0 ასტონ ვილა**

1:0, 2:0 ჯეფერსი (29, 34), 3:0 იანგი (58)
ჩარლტონი: კაილი, იანგი, ფიში, ჯ. ფორჩუნი, ჰრეიდარსონი, რომედალი (ჰიუზი 82), კიშიშევი (ელ კარკური 78), იუელი, მერფი, ლისბი, ჯეფერსი (კონჩესკი 75)
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
ასტონ ვილა: სორენსენი (პოსტმა 45), დილანი, მელბერგი, ლაურსენი, სამუელი, სოლანო, მაკენი, ჰიცლშპერგერი, ბერი, ვასელი, ქ. კოული (ანხელი 72)
მწვრთნელი: დევიდ ოლირი
გაფრთხილება: სამუელი
მსაჯი: ვეიბი
26 190 მაყურებელი

**ფულემი 0:2 მიდლსბრო**

0:1 ვიდუკა (54), 0:2 ნემეთი (79)
ფულემი: ვან დერ სარი, ვოლცი, ბოკანეგრა, გომა, ნაითი, ლეგვინსკი, პ. ბ. დიოპი (ბოა მორტე 74), რაძინსკი, კ. იანსენი, კ. ჯონი (მაკბრაიდი 62), ე. კოული
მწვრთნელი: კრის კოულმენი
მიდლსბრო: შვარცერი, კეიდრუ, რიგოტი, საუთგეიტი, პარნაბი, ბოატენგი (დორივა 89), მენდიეტა (ნემეთი 77), პარლოუ, ზენდენი, ვიდუკა (ჟობი 71), ჰასელბაინკი
მწვრთნელი: სტივ მაკლარენი
გაფრთხილება: ზენდენი
მსაჯი: გალაჰერი
17 759 მაყურებელი

**საუთჰემპტონი 1:2 ბოლტონი**

0:1 პედერსენი (7), 0:2 ოკოჩა (27პ), 1:2 კროუჩი (85)
საუთჰემპტონი: ნიემი, ტელფერი, ლუნდეკვამი, ჰიგინბოთემი, ლე სო, ფ. ფერნანდესი, დელაპი (კროუჩი 69), პრატონი, სვენსონი, ბიტი, ფილიპსი
მწვრთნელი: სტივ ვიგლი
ბოლტონი: იასკელაინენი, ჰანტი, ნგოტი, ჯაიდი, გარდნერი, სპიდი, კამპო, ოკოჩა, დევისი (ფერდინანდი 90), იანაკოპულოსი (ნოლანი 80), პედერსენი (იერო 90)
მწვრთნელი: სემ ალარდაისი
გაფრთხილება: დელაპი, კამპო
მსაჯი: დანი
30 713 მაყურებელი

**ვესტ ბრომვიჩი 1:1 ტოტენჰემი**

1:0 გერა (3), 1:1 დეფო (34)
ვესტ ბრომვიჩი: ჰოულტი, შიმეკა, პარსი, გაარდსო, რობინსონი (მური 81), ენდი ჯონსონი (დაიერი 54), კლემენტი, გრინინგი, ჰორსფილდი (დობიე 61), კანუ
მწვრთნელი: გარი მეგსონი
ტოტენჰემი: პ. რობინსონი, პამაროტი, ნაიბეტი, კინგი, ედმანი, რედნაპი (ბრაუნი 78), დევისი, მენდესი, ატოუბა (ჯეკსონი 88), დეფო (რობი კინი 67), კანუტი
მწვრთნელი: ჟაკ სანტინი
მსაჯი: ნაითი
27 191 მაყურებელი

**კრისტალ პალასი 0:2 ჩელსი**

0:1 დროგბა (28), 0:2 ტიაგო (72)
კრისტალ პალასი: სპერონი, ბოისი, ჰადსონი, პოპოვიჩი, გრანვილი, რუტლეჯი, ჰალი, რიჰილაჰტი, კოლკა, ჯონსონი, კავიედესი (ჰიუზი 67)
მწვრთნელი: იან დოუვი
ჩელსი: ჩეხი, პაულუ ფერეირა, გალასი, ტერი, ბაბაიარო, მაკელელე, ლამპარდი, ტიაგო, კოული (ჯერემი 76), დროგბა (გუდიონსენი 75), კეჟმანი (მუტუ 70)
მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ
გაფრთხილება: ბაბაიარო, ჰადსონი
მსაჯი: ფოე
24 953 მაყურებელი

**ბირმინგემი 1:0 სიტი**

1:0 ჰესკი (8)
ბირმინგემი: ტეილორი, მელხიოტი, აპსონი, კენინგემი, ლაზარიდისი (კლემენსი 59), გრონკიაერი, ჯონსონი, იზეტი, გრეი, ფორსელი (ტებილი 79), ჰესკი (ჯონი 54)
მწვრთნელი: სტივ ბრიუსი
მანჩესტერ სიტი: ჯეიმსი, ჯიჰაი, მილსი, დისტინი, ტეტჩერი, რაიტ-ფილიპსი, ბოსველტი (ბარტონი 79), რეინა, სიბიერსკი (სინკლერი 57), ფაულერი (მაკენი 79), ანელკა
მწვრთნელი: კევინ კიგანი
გაფრთხილება: იზეტი, მილსი
მსაჯი: დოუდი
28 551 მაყურებელი

# არსენალმა 43 გაისროლა



REUTERS ლონდონიდან

არსენალი — ბლექბერნი. „მეთოფეთა“ სარეკორდო გამარჯვებას საძირკველი ტიერი ანრიმ ჩაუყარა

„**არსენალმა**“ მოახერხა და დაამხო „ნოტინგემ ფორესტის“ ეროვნული რეკორდი — ოთხშაბათ საღამოს „მეთოფეებმა“ 3:0 მოუგეს „ბლექბერნს“ და 43-ე წაუგებელი თამაშიც მიითვალეს პრემიერლიგაში. თუ იმას არ გავიხსენებთ, რომ იმ ძველმა „ნოტინგემმა“ თავისი რეკორდის კვალად ზედიზედ ორჯერ მოიგო ჩემპიონთა თასი, მაშინ „არსენალის“ რეკორდი სულაც არ გაფერმკრთალდება.

როგორც არსენ ვენგერმა თქვა, წაუგებელი სერიის გაგრძელება უჩვენებს, რომ მისი გუნდი უკეთესი და უკეთესი ხდება. „ბლექბერნის“ დამარცხებით, „არსენალმა“ წინა საღამოს „ჩელსისგან“ ართმეული ლიდერობა დაიბრუნა, თუმცა, სტუმრებთან იოლი განავარდება არ გამოუვიდა და პირველი ნახევარიც უგოლოდ დასრულა. მოგების მესაძირკვლე ტიერი ანრი იყო, რომელმაც ერთი თავად გაიტანა დენის ბერხკამპის პასით, ორი კი ჟილბერტოსა და რეიესს გაატანინა.



REUTERS ნიუკასლიდან

ნიუკასლი — ნორვიჩი. გარი დოჰერტმა მასპინძლებს 3 ქულა არ დაანება

„არსენალისა“ და „ჩელსისა“ არ იყოს, წაუგებლად მიდის განახლებული „ტოტენჰემიც“, თუმცა 3 თამაშიდან 2 ფრე აქვს. „ტოტენჰემი“ „ვესტ ბრომვიჩს“ ეწვია და თავიდანვე აგებდა მასპინძელთა ახალი კაცის ზოლტან გერას სადებიუტო გოლით. ლონდონელებმა ჟერმენ დეფოსა და ფრედი კანუტის კოხტა კედლით უპასუხეს და დეფომ გაათანაბრა. სხვა ის იყო, რომ „ვესტ ბრომვიჩს“ ნვანკო კანუს გოლი არ ჩაუთვალეს, ვერც მეორე ტაიმში შესულმა რობი კინმა გაიტანა. ორივე მენეჯერმა, გარი მეგსონმა და ჟაკ სანტინიმ ერთნაირად თქვა: „კარგი ქულა იყო“.

მაგარი თამაში გამოვიდა „სენტ ჯეიმსის“ მინდორზე, სადაც „ნიუკასლი“ 2 ბურთით უგებდა ლიგის ახალ გუნდს „ნორვიჩს“, საბოლოოდ კი ქულა შერჩა. თავიდან სტუმრებს ანუ „იადონებს“ ჰქონდათ შანსი: დარენ ჰაკერბიმ 16 იარდიდან დაუბრახუნა. თამაში მეტად ცოცხალი იყო და პირველი გოლი კრეიგ ბელამიმ მიაყოლა ალან შირერის თავურს. „ნორვიჩი“ მაინც უტეხად იდგა და ნირი არც არონ ჰიუზის გოლის შემდეგ შეცვლია. მეტიც, „იადონებმა“ იმგვარად შეუტიეს, რომ „ნიუკასლი“ ველარც კი წვდებოდა ყველაფერს. პირველი საპასუხო მაინც შემთხვევითი გამოვიდა: „არსენალიდან“ ნაქირავებმა დევიდ ბენტლიმ ორი კაცი კი კოხტად მოატყუა და 25 მეტრიდანაც დაარტყა, მაგრამ ბურთი საგოლე არ იყო. არ იყო და მაინც გავიდა: ილლიაში გაუძვრა შეი გივენს. შემხვედრ სიჩქარეებზე თამაშისას ბელამის თავისი მეორე აუცდა, გარი დოჰერტიმ კი გაიტანა და სერ ბობი რობსონს ისღა დარჩენოდა, ეთქვა: „შეი ძალიან გულგატეხილია. არა უშავს, ჩვენ მას ვაპატიეთ“.

ახალ სამოსში თავისი პირველი გოლი გაიტანა მარკ ვიდუკამ, რომელსაც ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია „ლიდსიდან“ გადმოჰყვა, მისმა „მიდლსბრომ“ კი სტუმრად 2:0 მოუგო „ფულემს“. ვიდუკა კარგად შეეგება ჯიმი ჰასელბაინკის კროსს, მეორე კი შილარდ ნემეთმა შეაგდო.

„საუთჰემპტონის“ თავმჯდომარემ რუპერტ ლოუმ საშინელი სტვენა და გინება მიიღო საკუთარი ფანებისგან მას შემდეგ, რაც გუნდმა შინ „ბოლტონთან“ 1:2 წააგო. ლოუმ ორი ტურის თავზე მენეჯერი პოლ სტაროკი გადააყენა, ახლა მწვრთნელად მყოფ სტივ ვიგლისთვის კი დებიუტი კოშმარული იყო. ჰენრიკ პედერსენმა უკვე მეშვიდე წუთზე დააწინაურა სტუმრები, მერე კი ჯეი-ჯეი ოკოჩამ პენალტიც გაიტანა. ერთი მცირე იმედი ზღვისპირელებს ლიგის ყველაზე მაღალი ფეხბურთელის, პიტერ კროუჩის გვიანმა გოლმა მიანიჭა, თუმცა, ისიც არ გამართლდა, ფანები კი უფროსობის გადადგომას მოითხოვდნენ.

„ჩარლტონის“ სასტარტოში პირველად მოხვდა ფრენსის ჯეფერსი და დუბლიც ჩაიწერა „ასტონ ვილას“ წინააღმდეგ. „ჩარლტონმა“ პირწმინდად მოუგო დევიდ ოლირის გუნდს.

**ირაკლი გამყრელიძე**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 არსენალი | 3 | 3 | 0 | 0 | 12:4 | 8 | 9 | 2 | 2 | 0 | 0 | 8:3 | 5 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 3 |
| 2 ჩელსი | 3 | 3 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 9 | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 1 | 3 | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 3 | 6 |
| 3 ბოლტონი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:4 | 2 | 6 | 1 | 1 | 0 | 0 | 4:1 | 3 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | -1 | 3 |
| 4 ჩარლტონი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:5 | 1 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 4 | 6 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | -3 | 0 |
| 5 ტოტენჰემი | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 1 | 5 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 1 | 4 |
| 6 ლივერპული | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 7 მიდლსბრო | 3 | 1 | 1 | 1 | 7:7 | 0 | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 | 2 | 1 | 0 | 1 | 5:5 | 0 | 3 |
| 8 ფულემი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 0 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 9 ბირმინგემი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 0 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 0 | 3 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 10 ასტონ ვილა | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | -1 | 4 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:4 | -3 | 1 |
| 11 ვესტ ბრომვიჩი | 3 | 0 | 3 | 0 | 3:3 | 0 | 3 | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 0 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |
| 12 მანჩესტერი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 0 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 1 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | -1 | 0 |
| 13 ევერტონი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:5 | -1 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:4 | -3 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 2 | 3 |
| 14 საუთჰემპტონი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | -2 | 3 | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 0 | 3 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 15 ნორვიჩი | 3 | 0 | 2 | 1 | 4:5 | -1 | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 3:4 | -1 | 1 |
| 16 ნიუკასლი | 3 | 0 | 2 | 1 | 4:5 | -1 | 2 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 2:2 | 0 | 1 |
| 17 პორტსმუთი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | -1 | 0 |
| 18 სიტი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | -2 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | -2 | 0 |
| 19 ბლექბერნი | 3 | 0 | 1 | 2 | 3:7 | -4 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | -4 | 0 |
| 20 კრისტალ პალასი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:6 | -4 | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | -4 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 |

**ბომბარდირები**

| | |
|---|---|
| ანრი (არსენალი) | 3 |
| ოკოჩა (ბოლტონი) | 3 |
| პედერსენი (ბოლტონი) | 3 |
| რეიესი (არსენალი) | 3 |

**IV ტური**

28-29 აგვისტო

| | | |
|---|---|---|
| ბლექბერნი | : | მანჩესტერი |
| ასტონ ვილა | : | ნიუკასლი |
| ტოტენჰემი | : | ბირმინგემი |
| ჩელსი | : | საუთჰემპტონი |
| ევერტონი | : | ვესტ ბრომვიჩი |
| სიტი | : | ჩარლტონი |
| მიდლსბრო | : | კრ. პალასი |
| ნორვიჩი | : | არსენალი |
| ბოლტონი | : | ლივერპული |
| პორტსმუთი | : | ფულემი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. III საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები

# საბომ თურქებს 500 000 მოპარა

რეინჯერსი (შოტლანდია) 1:1 ცსკა (რუსეთი) (1:2)
0:1 ვაგნერი (61), 1:1 ს. ტომპსონი (88)
რეინჯერსი: კლოსი, რიკსენი, მური, ბუმსონგი, ვინალი, არველაძე, პიუზი, მლადენოვიჩი (ენდრიუსი 81), ლოვენკრანდსი (ტომპსონი 64), პრსო, ნოვო
ზურაბ ხიზანიშვილი სათადარიგო იყო

მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი) 1:0 პაოკი (საბერძნეთი) (3:0)
1:0 კოენი (7)

ტრაბზონი (თურქეთი) 0:2 დინამო (კიევი, უკრაინა) (2:1)
0:1 გავრანჩიჩი (7), 0:2 რინკონი (28)

სპარტა (ჩეხეთი) 2:0დ.დ.(1:0) ფერენცვაროში (უნგრეთი) (0:1)
1:0 ზელენკა (45), 2:0 ჰომოლა (114)

პსვ (ჰოლანდია) 5:0 ცრვენა ზვეზდა (სერბეთი) (2:3)
1:0 ვან ბომელი (9პენ.), 2:0 ბესლი (32), 3:0 ვან ბომელი (56), 4:0 დე იონგი (57), 5:0 ვენეგოორ ოფ ჰესელინკი (80)

ბრიუგე (ბელგია) 2:2 შახტარი (უკრაინა) (1:4)
0:1 ვუკიჩი (5), 1:1, 2:1 ჩეხი (14, 34პენ), 2:2 ვუკიჩი (52)

იურგორდენი (შვედეთი) 1:4 იუვენტუსი (იტალია) (2:2)
0:1 დელ პიერო (10), 1:1 არნენგი (19), 1:2 ტრეზეგე (34), 1:3 ნედვედი (54), 1:4 ტრეზეგე (86)

ბანიკი (ჩეხეთი) 2:1 ლევერკუზენი (გერმანია) (0:5)
1:0 პაპადოპულოსი (38), 1:1 ბერბატოვი (77), 2:1 ჟურეკი (82)

მანჩესტერი (ინგლისი) 3:0 დინამო (ბუქარესტი, რუმინეთი) (2:1)
1:0, 2:0 სმიტი (47, 50), 3:0 ბელიონი (70)

რეალი (ესპანეთი) 3:1 ვისლა (პოლონეთი) (2:0)
1:0, 2:0 რონალდო (3, 31), 3:0 პავონი (85), 3:1 გორავსკი (89)


რეალი — ვისლა. რონალდომ სტუმრებს დასაწყისშივე გაუტანა

**თელ ავივის** „მაკაბიმ" „პაოკს" მეორე მატჩიც მოუგო და ჩემპიონთა ლიგაში პირველად ითამაშებს. ამ გუნდების სალონიკურ შეხვედრაში „მაკაბიმ" 2:1 იმარჯვა, მერე კი აღმოჩნდა, რომ ბერძნებს განაცხადში დისკვალიფიცირებული ფეხბურთელი ჰყავდათ და „პაოკს" 0:3 მარცხი ჩაუთვალეს. თელ ავივში მასპინძლები ლირან კოენის გოლით მალევე დაწინაურდნენ, მეორე ტაიმში კი „მაკაბის" ერთი მოთამაშე გაუძევეს, მაგრამ „პაოკმა" ეს უპირატესობაც ვერ გამოიყენა.

გლაზგოს „რეინჯერსი" ცეესკასთან მარცხს მატჩის მიწურულს სტივ ტომპსონის გოლით გადაურჩა და ოდენ ფრეს გამორჩა. აღსანიშნავია, რომ „ჩაფრებს" ევროთასებზე გამართული ბოლო 13 შეხვედრიდან მხოლოდ სამი აქვთ მოგებული. სტუმრებმა ბრაზილიელი ვაგნერ ლოვეს წყალობით გახსნეს ანგარიში, რომელმაც მოსკოვშიც გაუტანა „რეინჯერსს". მსაჯმა ნაჩო ნოვოს 0:0-ზე ერთი გოლი არ ჩაუთვალა. ნამატჩევს ვალერი გაზაევმა განაცხადა: „ვიცოდით, რომ გლაზგოში მასპინძლებს ქომაგთა უდიდესი მხარდაჭერა ექნებოდათ და შემოგვიტევდნენ. ამიტომ მთელი ყურადღება დაცვაზე გადავიტანეთ, რამაც გაამართლა. ჩემს ფეხბურთელებს ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრას ვულოცავ".

„რეინჯერსი" მომავალ კვირას „სელტიკს" სტუმრობს და თუ წააგო, მარტინ ონილის გუნდი ალექს მაკლიშისას ხუთი ქულით დაუსხლტება. „ჩაფართა" მწვრთნელი იმედოვნებს, რომ მისი შეგირდები ცეესკასთან წაფორხილებას მალე დაივიწყებენ: „დრო მკურნალია. ჩემი ფეხბურთელები პროფესიონალები არიან და „სელტიკისთვის" სრულ მზადყოფნაში იქნებიან".

„ტრაბზონსფორის" მწვრთნელ ზია დოღანს კიევური მატჩი გაახსენდებოდა, რადგან სტუმრად „დინამოსთან" 2:1 მოგების შემდეგ დაიჩივლა, ხუთი-ექვსი გოლი კიდევ უნდა შეგვეგდო და საქმე მოგვემთავრებინაო. „დინამოს" დროებითმა თავკაცმა იოჟეფ საბომ ალექსეი მიხაილიჩენკოს წახდენილი გუნდი ორ კვირაში გამოასწორა და ტრაბზონსფორელებს მათსავე მოედანზე ჩემპიონთა ლიგის საგზური გამოგლიჯა. თურქთა კლუბის პრეზიდენტი ფეხბურთელებს ლიგაში მოხვედრისთვის 500 ათას დოლარს დაჰპირდა და საბოს „დინამომ" მას ფული დაუზოგა. გორან გავრანჩიჩის კარგი თამაშის წყალობით კიეველებმა მასპინძლებს პირველივე ტაიმში ორი გოლი გაუტანეს. ჯერ თავად გავრანჩიჩმა გახსნა ანგარიში, მერე კი მის დარტყმულს და ძელილან უკუგდებულ ბურთს დიოგო რინკონმა მიუსწრო და მეორე შეაგდო. შესვენების შემდეგ „დინამოს" როდოლფო დანტსი გაუძევს, მაგრამ კაცნაკლულებმა სასურველი შედეგის შენარჩუნება მაინც მოახერხეს. „სტუმრად ტრაბზონელთა ძლევა სასიამოვნოა. „მადლობა" მსაჯს, რომ ათი კაცით დაგვტოვა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩემმა ფეხბურთელებმა იყოჩაღეს და ბოლომდე გაუძლეს დამხვდურთა იერიშებს" — თქვა საბომ.

დონეცკის „შახტარმა" „ბრიუგესთან" ფრე გაახერხა და რაკი პირველი მატჩი 4:1 მოიგო, ჩემპიონთა ლიგაში მეორედ შეაბიჯა.

დონეცკელმა ზვონიმირ ვუკიჩმა ანგარიში მეხუთე წუთზევე გახსნა. აგახოვას დარტყმული ტომისლავ ბუტინამ მოიგერია, ვუკიჩმა კი საგოლედ დაამატა. ნასტია ჩეხმა საამოდ შესრულებული საჯარიმოთი გაათანაბრა. შახტარელთა „ცოცხალი კედელი" ახტა, ბურთი კედლის ქვეშ გასრიალდა და კარში აღმოჩნდა. პირველივე ტაიმში ლევანდოვსკიმ „ბრიუგეს" ფორვარდი ვიქტორი წააქცია და მსაჯმა პენალტი დანიშნა. ტიმ საიმონსს დონეცკელმა ლაშტუვკამ აუღო, მაგრამ თერთმეტმეტრიანი გაამეორებინეს. მეორე ცდაზე საიმონსის მაგივრად ბურთთან ნასტია ჩეხი მივიდა და „ბრიუგე" დააწინაურა.

შესვენების შემდეგ სტუმრებმა ვუკიჩის წყალობით გაქვითეს. „შახტარს" მესამის გატანაც შეეძლო, მაგრამ ვუკიჩის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ჩიპრინ მარიკამ ვერ გამოიყენა.

ფაბიო კაპელომ ტურინული 2:2-ის მერე გუნდი სათანადოდ დაქოქა და „იუვენტუსმა" შვედეთში გაილაღა. ალესანდრო დელ პიერომ გახსნა ანგარიში, იოჰან არნენგმა მალევე გაქვითა, მაგრამ დავიდ ტრეზეგემ შესვენებამდე კვლავ დააწინაურა „ბებერი ქალბატონი". მეორე ტაიმში პაველ ნედვედმა და ტრეზეგემ „იურგორდენს" კიდევ ორი გოლი მიართვეს, ხოლო ჩეხმა ნამატჩევს თქვა: „არ მეგონა, თუ სრულად თამაშს შევძლებდი, მაგრამ პირველი ტაიმის შემდეგ თავს შესანიშნავად ვგრძნობდი. ძალიან მსურდა, შვედეთში გუნდს დავხმარებოდი და მოხარული ვარ, რომ გამარჯვებაში წვლილი შევიტანე".

რუუდ ვან ნისტელროისა და ლუი საას არყოფნაში ალან სმიტმა და დევიდ ბელიონმა გაილაღეს, თუმც შესვენებამდე „მანჩესტერ იუნაიტედს" გაუჭირდა. სმიტმა მეორე ნახევრის დასაწყისში დუბლი შეასრულა, მერე კი ბელიონმაც ივარგა.

ჰოლანდიურმა პსვ-მ კაცნაკლული „ცრვენა ზვეზდა" გამოიჭირა და ხუთი გოლით გაისტუმრა. ჟი ვუნ პარკის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი მარკ ვან ბომელმა გამოიყენა, მერე სტუმრებს მილან ბიშევაჩი უკანასკნელი იმედის ჯარიმისთვის გაუძევეს და აქედან დაიწყო „წითელი ვარსკვლავის" ქრობა. დამარკუს ბისლიმ ანგარიშში სხვაობა ორამდე გაზარდა, მეორე ნახევარში კი ვლადიმირ დისლენკოვიჩის კარში ბურთი კიდევ სამჯერ შევარდა.

მადრიდში „რეალს" „ვისლას" მეორედ დამარცხება არ გასჭირვებია. რონალდომ ჯერ ფიგუს და მიჩელ სალგადოს პასებით წყვილი გოლი შეაგდო, მერე ბრაზილიელს მესამის გატანაც შეეძლო, როცა პოლონელ მცველებს ჩაუცეკვა, მაგრამ მეკარემ იყოჩაღა. ფრანსისკო პავონმა რობერტო კარლოსის ნაკუთხურალ ბურთს შეაგება თავური, ხოლო დამან გორავსკიმ ვალტერ სამუელს დაასწრო და ბოლო წუთზე ერთი გაქვითა.

პრაღის „სპარტამ" დამატებით დროში მოახერხა „ფერენცვაროშის" დაჩოქება. უნგრელებს პირველი მატჩი 1:0 ჰქონდათ მოგებული და ეს უპირატესობა პრაღაში ლუკას ზელენკამ გააბათილა, რომელმაც მცველებისგან უკუგდებული ბურთი კარში შეაბრუნა. სპარტელთა გმირი ჰომოლა გახდა. მან დამატებულ დროში მეკარის მოგერიებულ ბურთს მიუსწრო და გამარჯვებისა გაიტანა.

ლევერკუზენის „ბაიერმა" ჩეხეთში მშვიდად წააგო, რადგან პირველი შეხვედრის შემდეგ ხუთბურთიანი მარაგი ჰქონდა მოყურჩებული.

**ვაჟა ხუციშვილი**


მანჩესტერი — დინამო. ალან სმიტმა დუბლი მიითვალა


იურგორდენი — იუვენტუსი. პაველ ნედვედი „ბებერ ქალბატონს" გოლით დაუბრუნდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. ჯგუფური ეტაპი

## A ჯგუფი

**დეპორტივო** ლა კორუნია ესპანეთი
**ლივერპული** ინგლისი
**მონაკო** საფრანგეთი
**ოლიმპიაკოსი** პირეოსი საბერძნეთი

I ტური, 15.09.2004
დეპორტივო – ოლიმპიაკოსი
ლივერპული – მონაკო
II ტური, 28.09.2004
მონაკო – დეპორტივო
ოლიმპიაკოსი – ლივერპული
III ტური, 19.10.2004
ლივერპული – დეპორტივო
მონაკო – ოლიმპიაკოსი

IV ტური, 03.11.2004
დეპორტივო – ლივერპული
ოლიმპიაკოსი – მონაკო
V ტური, 23.11.2004
მონაკო – ლივერპული
ოლიმპიაკოსი – დეპორტივო
VI ტური, 08.12.2004
დეპორტივო – მონაკო
ლივერპული – ოლიმპიაკოსი

## B ჯგუფი

**რეალი** მადრიდი, ესპანეთი
**რომა** იტალია
**ლევერკუზენი** გერმანია
**დინამო** კიევი, უკრაინა

I ტური, 15.09.2004
ლევერკუზენი – რეალი
რომა – დინამო
II ტური, 28.09.2004
რეალი – რომა
დინამო – ლევერკუზენი
III ტური, 19.10.2004
ლევერკუზენი – რომა
რეალი – დინამო

IV ტური, 03.11.2004
რომა – ლევერკუზენი
დინამო – რეალი
V ტური, 23.11.2004
დინამო – რომა
რეალი – ლევერკუზენი
VI ტური, 08.12.2004
ლევერკუზენი – დინამო
რომა – რეალი

## C ჯგუფი

**ბაიერნი** მიუნხენი, გერმანია
**იუვენტუსი** ტურინი, იტალია
**აიაქსი** ამსტერდამი, ჰოლანდია
**მაკაბი** თელ ავივი, ისრაელი

I ტური, 15.09.2004
აიაქსი – იუვენტუსი
მაკაბი – ბაიერნი
II ტური, 28.09.2004
ბაიერნი – აიაქსი
იუვენტუსი – მაკაბი
III ტური, 19.10.2004
იუვენტუსი – ბაიერნი
აიაქსი – მაკაბი

IV ტური, 03.11.2004
მაკაბი – აიაქსი
ბაიერნი – იუვენტუსი
V ტური, 23.11.2004
ბაიერნი – მაკაბი
იუვენტუსი – აიაქსი
VI ტური, 08.12.2004
აიაქსი – ბაიერნი
მაკაბი – იუვენტუსი

## D ჯგუფი

**მანჩესტერი** ინგლისი
**ლიონი** საფრანგეთი
**სპარტა** პრაღა, ჩეხეთი
**ფენერბაჰჩე** სტამბოლი თურქეთი

I ტური, 15.09.2004
ფენერბაჩე – სპარტა
ლიონი – მანჩესტერი
II ტური, 28.09.2004
მანჩესტერი – ფენერბაჩე
სპარტა – ლიონი
III ტური, 19.10.2004
ფენერბაჩე – ლიონი
სპარტა – მანჩესტერი

IV ტური, 03.11.2004
ლიონი – ფენერბაჩე
მანჩესტერი – სპარტა
V ტური, 23.11.2004
მანჩესტერი – ლიონი
სპარტა – ფენერბაჩე
VI ტური, 08.12.2004
ლიონი – სპარტა
ფენერბაჩე – მანჩესტერი

## E ჯგუფი

**არსენალი** ლონდონი, ინგლისი
**პანათინაიკოსი** ათენი საბერძნეთი
**პსვ** ეინდჰოვენი, ჰოლანდია
**რუსენბორგი** ტრონჰეიმი ნორვეგია

I ტური, 14.09.2004
არსენალი – პსვ
პანათინაიკოსი – რუსენბორგი
II ტური, 29.09.2004
რუსენბორგი – არსენალი
პსვ – პანათინაიკოსი
III ტური, 20.10.2004
პანათინაიკოსი – არსენალი
რუსენბორგი – პსვ

IV ტური, 02.11.2004
არსენალი – პანათინაიკოსი
პსვ – რუსენბორგი
V ტური, 24.11.2004
რუსენბორგი – პანათინაიკოსი
პსვ – არსენალი
VI ტური, 07.12.2004
არსენალი – რუსენბორგი
პანათინაიკოსი – პსვ

## F ჯგუფი

**ბარსელონა** ესპანეთი
**მილანი** იტალია
**სელტიკი** გლაზგო, შოტლანდია
**შახტარი** დონეცკი, უკრაინა

I ტური, 14.09.2004
სელტიკი – ბარსელონა
შახტარი – მილანი
II ტური, 29.09.2004
ბარსელონა – შახტარი
მილანი – სელტიკი
III ტური, 20.10.2004
მილანი – ბარსელონა
შახტარი – სელტიკი

IV ტური, 02.11.2004
ბარსელონა – მილანი
სელტიკი – შახტარი
V ტური, 24.11.2004
ბარსელონა – სელტიკი
მილანი – შახტარი
VI ტური, 07.12.2004
სელტიკი – მილანი
შახტარი – ბარსელონა

## G ჯგუფი

**ვალენსია** ესპანეთი
**ინტერი** მილანი, იტალია
**ანდერლეხტი** ბრიუსელი ბელგია
**ვერდერი** ბრემენი, გერმანია

I ტური, 14.09.2004
ვალენსია – ანდერლეხტი
ინტერი – ვერდერი
II ტური, 29.09.2004
ანდერლეხტი – ინტერი
ვერდერი – ვალენსია
III ტური, 20.10.2004
ანდერლეხტი – ვერდერი
ვალენსია – ინტერი

IV ტური, 02.11.2004
ინტერი – ვალენსია
ვერდერი – ანდერლეხტი
V ტური, 24.11.2004
ანდერლეხტი – ვალენსია
ვერდერი – ინტერი
VI ტური, 07.12.2004
ინტერი – ანდერლეხტი
ვალენსია – ვერდერი

## H ჯგუფი

**პორტუ** პორტუგალია
**ჩელსი** ლონდონი, ინგლისი
**პსჟ** პარიზი, საფრანგეთი
**ცსკა** მოსკოვი, რუსეთი

| 19.00 | 617 | პრიმორიე-პუბლიკუმი | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,19 | 1,23 | 1,67 |
| 19.00 | 618 | მურა-'ზაგორიე | 1,4 | 4,0 | 6,5 | 1,03 | 1,15 | 2,47 |
| 22.00 | 619 | მარიბორი-გორიცა | 2,25 | 3,1 | 2,9 | 1,3 | 1,26 | 1,49 |
| | | **პოლონეთი. I ლიგა. IV ტური** | | | | | | |
| | | **27 აგვისტო** | | | | | | |
| 22.00 | 622 | გროცლინი-პოგონი | 1,5 | 3,5 | 5,6 | 1,04 | 1,18 | 2.15 |
| | | **28 აგვისტო** | | | | | | |
| 20.00 | 623 | ლეჩნა-ოდრა | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1,69 |
| 20.00 | 624 | პოლონია-კატოვიცე | 1,65 | 3,3 | 4,4 | 1,1 | 1,2 | 1,88 |
| 20.00 | 625 | გურნიკი-'ზაგლებე | 1,7 | 3,2 | 4,4 | 1,11 | 1,22 | 1,85 |
| 22.15 | 626 | ვისლა-პლოცკი | 1,2 | 4,6 | 9,0 | 1 | 1,05 | 3,04 |
| | | **29 აგვისტო** | | | | | | |
| 18.00 | 627 | ლეგია-კრაკოვია | 1,3 | 4,2 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,75 |
| 20.15 | 628 | ლეხი-ამიკა | 2,1 | 3,1 | 3,1 | 1,25 | 1,25 | 1,55 |
| | | **არგენტინა. აპერტურა. IV ტური** | | | | | | |
| | | **27 აგვისტო** | | | | | | |
| 03.30 | 669 | ველესი-ლანუსი | 1,75 | 3,2 | 4,2 | 1,13 | 1,23 | 1,81 |
| | | **აშშ. MLS** | | | | | | |
| | | **28 აგვისტო** | | | | | | |
| 24.00 | 708 | ნიუ ინგლენდი-ვაშინგტონი | 2,2 | 3,1 | 3,0 | 1,28 | 1,26 | 1,52 |
| 04.30 | 709 | დალასი-ჩიკაგო | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,15 | 1,22 | 1,73 |
| 06.00 | 710 | სან ხოსე-კოლორადო | 2,05 | 3,1 | 3,3 | 1,23 | 1,26 | 1,59 |
| | | **29 აგვისტო** | | | | | | |
| 02.05 | 711 | ნიუ იორკი-კოლამბუსი | 1,8 | 3,2 | 3,8 | 1,15 | 1,22 | 1,73 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **იაპონია. ჯეი ლიგა. III ტური** | | | | | | |
| | | **29 აგვისტო** | | | | | | |
| 13.00 | 714 | ურავა-ივატა | 2,15 | 3,2 | 3,0 | 1,28 | 1,25 | 1,54 |
| 13.00 | 715 | კობე-ნიიგატა | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1,69 |
| 13.30 | 716 | კაშიმა-იჩიჰარა | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1,69 |
| 14.00 | 717 | კაშივა-ჰიროსიმა | 2,35 | 3,2 | 2,6 | 1,35 | 1,23 | 1,43 |
| 14.00 | 718 | ნაგოია-იოკოჰამა | 3,0 | 3,1 | 2,2 | 1,52 | 1,26 | 1,28 |
| 14.00 | 719 | შიმიცუ-ოსაკა | 2,7 | 3,1 | 2,35 | 1,44 | 1,25 | 1,33 |
| 14.00 | 720 | ვერდი-ტოკიო | 2,4 | 3,1 | 2,6 | 1,35 | 1,24 | 1,41 |
| 14.00 | 721 | ჩერეძო-ოიტა | 2,05 | 3,2 | 3,2 | 1,24 | 1,24 | 1,6 |
| | | **ირლანდია. თასი. 1/8 ფინალი** | | | | | | |
| | | **28 აგვისტო** | | | | | | |
| 22.30 | 790 | დერი-შელბურნი | 2,6 | 3,2 | 2,35 | 1,43 | 1,23 | 1,35 |
| | | **სუპერთასი** | | | | | | |
| | | **27 აგვისტო** | | | | | | |
| 22.45 | 794 | პორტუ-ვალენსია | 2,9 | 3,1 | 2,35 | 1,49 | 1,29 | 1,33 |
| | | **ამხანაგური მატჩები** | | | | | | |
| | | **28 აგვისტო** | | | | | | |
| 22.45 | 854 | მილანი-იუვენტუსი | 1,95 | 3,0 | 3,6 | 1,18 | 1,26 | 1,63 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ფეხბურთი. ოლიმპიადა** | | | | | | |
| | | **27 აგვისტო** | | | | | | |
| 21.30 | 858 | იტალია-ერაყი | 1,7 | 3,4 | 4,0 | [illegible] | [illegible] | [illegible] |
| | | **28 აგვისტო** | | | | | | |
| 11.00 | 859 | არგენტინა-პარაგვაი | 1,5 | 3,5 | 6,0 | 1,04 | 1,2 | 2,21 |
| | | **ხელბურთი. ოლიმპიადა** | | | | | | |
| | | **27 აგვისტო** | | | | | | |
| 15.30 | 1205 | ხორვატია-უნგრეთი | 1,4 | 8,0 | 3,0 | 1,19 | 1 | 2,18 |
| 17.30 | 1206 | გერმანია-რუსეთი | 1,7 | 8,0 | 2,2 | 1,4 | 1 | 1,72 |
| | | **ფრენბურთი. ოლიმპიადა** | | | | | | |
| | | **27 აგვისტო** | | | | | | |
| 20.30 | 1305 | რუსეთი-იტალია | 2,0 | 1,6 | | | | |
| 22.30 | 1306 | აშშ-ბრაზილია | 3,5 | 1,2 | | | | |
| | | **წყალბურთი. ოლიმპიადა** | | | | | | |
| | | **27 აგვისტო** | | | | | | |
| 19.15 | 1401 | უნგრეთი-რუსეთი | 1,4 | 6,5 | 3,6 | 1,15 | 1 | 2,31 |
| 22.00 | 1402 | საბერძნეთი-სერბია | 2,35 | 5,6 | 1,8 | 1,65 | 1,01 | 1,36 |

# I ტაიმის შედეგები

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5013 | ბლექბერნი-მანჩესტერი | 4,6 | 2,1 | 2,25 | 1,44 | 1,51 | 1,08 |
| 5014 | ასტონ ვილა-ნიუკასლი | 2,7 | 2,05 | 3,5 | 1,16 | 1,52 | 1,29 |
| 5015 | ჩელსი-საუთჰემპტონი | 1,45 | 3,2 | 7,5 | 1 | 1,21 | 2,24 |
| 5016 | ევერტონი-ვესტ ბრომვიჩი | 2,35 | 2,05 | 4,4 | 1,09 | 1,53 | 1,39 |
| 5017 | სიტი-ჩარლტონი | 2,5 | 2,05 | 3,8 | 1,12 | 1,5 | 1,33 |
| 5018 | მიდლსბრო-კრისტალ პალასი | 1,85 | 2,3 | 5,6 | 1,02 | 1,39 | 1,63 |
| 5019 | ტოტენჰემი-ბირმინგემი | 2,5 | 2,05 | 3,8 | 1,12 | 1,5 | 1,33 |
| 5020 | ნორვიჩი-არსენალი | 6,5 | 2,6 | 1,65 | 1,85 | 1,31 | 1 |
| 5021 | ბოლტონი-ლივერპული | 3,6 | 2,05 | 2,6 | 1,3 | 1,5 | 1,14 |
| 5022 | პორტსმუთი-ფულემი | 2,7 | 2,05 | 3,5 | 1,16 | 1,52 | 1,29 |
| 5026 | ლევერკუზენი-ბაიერნი | 3,5 | 2,05 | 2,7 | 1,29 | 1,52 | 1,16 |
| 5027 | ჰერტა-მაინცი | 1,85 | 2,3 | 5,6 | 1,02 | 1,39 | 1,63 |
| 5028 | ჰამბურგი-ნიურნბერგი | 2,25 | 2,1 | 4,6 | 1,08 | 1,51 | 1,44 |
| 5029 | კაიზერსლაუტერნი-შტუტგარტი | 3,4 | 2,1 | 2,7 | 1,29 | 1,5 | 1,18 |
| 5030 | ფრაიბურგი-მიონხენგლადბახი | 2,4 | 2,1 | 4,0 | 1,12 | 1,5 | 1,37 |

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5031 | არმინია-ბოხუმი | 2,7 | 2,1 | 3.4 | 1.18 | 1.5 | 1.29 |
| 5032 | შალკე-ჰანზა | 1,7 | 2.5 | 6.0 | 1.01 | 1.32 | 1.76 |
| 5033 | დორტმუნდი-ჰანოვერი | 1,7 | 2.5 | 6,0 | 1.01 | 1.32 | 1.76 |
| 5034 | ვერდერი-ვოლფსბურგი | 1.7 | 2,5 | 6,0 | 1.01 | 1.32 | 1.76 |
| 5038 | ნუმანსია-ბეტისი | 3,1 | 2,05 | 3,2 | 1.23 | 1.57 | 1.24 |
| 5039 | ატლეტიკო-მალაგა | 2.2 | 2,05 | 5,0 | 1,06 | 1.52 | 1.45 |
| 5040 | ესპანიოლი-დეპორტივო | 3,5 | 2,05 | 2,7 | 1.29 | 1.52 | 1.16 |
| 5041 | ოსასუნა-ბილბაო | 2.8 | 2,0 | 3.5 | 1.16 | 1.55 | 1.27 |
| 5042 | სევილია-ალბასეტე | 2,05 | 2,15 | 5.3 | 1.04 | 1.47 | 1.52 |
| 5043 | სოსიედადი-ლევანტე | 2,05 | 2.15 | 5,3 | 1.04 | 1,47 | 1.52 |
| 5044 | სარაგოსა-ხეტაფე | 2,05 | 2.15 | 5.3 | 1.04 | 1.47 | 1.52 |
| 5045 | მალიორკა-რეალი | 4.8 | 2,15 | 2,15 | 1.48 | 1.48 | 1.07 |
| 5046 | რასინგი-ბარსელონა | 4.8 | 2.1 | 2.2 | 1.46 | 1.5 | 1.07 |
| 5047 | ვალენსია-ვილიარეალი | 1,85 | 2,3 | 5,6 | 1,02 | 1.39 | 1,63 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5413 | ბლექბერნი-მანჩესტერი | 2,3 | 1,65 |
| 5414 | ასტონ ვილა-ნიუკასლი | 1,8 | 2,0 |
| 5415 | ჩელსი-საუთჰემპტონი | 1,2 | 4,0 |
| 5416 | ევერტონი-ვესტ ბრომვიჩი | 1,7 | 2,2 |
| 5417 | სიტი-ჩარლტონი | 1,8 | 2,0 |
| 5418 | მიდლსბრო-კრისტალ პალასი | 1,4 | 3,0 |
| 5419 | ტოტენჰემი-ბირმინგემი | 1,75 | 2,1 |
| 5420 | ნორვიჩი-არსენალი | 3,2 | 1,35 |
| 5421 | ბოლტონი-ლივერპული | 2,0 | 1,8 |
| 5422 | პორტსმუთი-ფულემი | 1,8 | 2,0 |
| 5426 | ლევერკუზენი-ბაიერნი | 2,0 | 1,8 |
| 5427 | ჰერტა-მაინცი | 1,4 | 3,0 |
| 5428 | ჰამბურგი-ნიურნბერგი | 1,65 | 2,3 |
| 5429 | კაიზერსლაუტერნი-შტუტგარტი | 2,0 | 1,8 |
| 5430 | ფრაიბურგი-მიონხენგლადბახი | 1,75 | 2,1 |
| 5431 | არმინია-ბოხუმი | 1,85 | 1,95 |
| 5432 | შალკე-ჰანზა | 1,35 | 3,2 |
| 5433 | დორტმუნდი-ჰანოვერი | 1,35 | 3,2 |
| 5434 | ვერდერი-ვოლფსბურგი | 1,3 | 3,4 |
| 5438 | ნუმანსია-ბეტისი | 1,9 | 1,9 |
| 5439 | ატლეტიკო-მალაგა | 1,6 | 2,4 |
| 5440 | ესპანიოლი-დეპორტივო | 2,0 | 1,8 |
| 5441 | ოსასუნა-ბილბაო | 1,8 | 2,0 |
| 5442 | სევილია-ალბასეტე | 1,5 | 2,6 |
| 5443 | სოსიედადი-ლევანტე | 1,5 | 2,6 |
| 5444 | სარაგოსა-ხეტაფე | 1,5 | 2,6 |
| 5445 | მალიორკა-რეალი | 2,3 | 1,65 |
| 5446 | რასინგი-ბარსელონა | 2,3 | 1,65 |
| 5447 | ვალენსია-ვილიარეალი | 1,35 | 3,2 |

## 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო.

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5113 | ბლექბერნი-მანჩესტერი | 6,5 | 10,0 | 20,0 | 7,5 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10.0 | 2.6 |
| 5114 | ასტონ ვილა-ნიუკასლი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10.0 | 4.4 |
| 5115 | ჩელსი-საუთჰემპტონი | 1,5 | 15,0 | 40,0 | 3,5 | 6,0 | 17.0 | 25,0 | 17.0 | 17.0 |
| 5116 | ევერტონი-ვესტ ბრომვიჩი | 2,9 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10.0 | 5.6 |
| 5117 | სიტი-ჩარლტონი | 3,3 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10.0 | 4.8 |
| 5118 | მიდლსბრო-კრისტალ პალასი | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,5 | 4,6 | 10,0 | 20,0 | 10.0 | 10.0 |
| 5119 | ტოტენჰემი-ბირმინგემი | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 5,6 | 20,0 | 10.0 | 5.0 |
| 5120 | ნორვიჩი-არსენალი | 11,0 | 11,0 | 20,0 | 12,0 | 4,8 | 3,5 | 30,0 | 12.0 | 1.8 |
| 5121 | ბოლტონი-ლივერპული | 4,6 | 10,0 | 20,0 | 5,3 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10.0 | 3.3 |
| 5122 | პორტსმუთი-ფულემი | 3,4 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10.0 | 4.6 |
| 5126 | ლევერკუზენი-ბაიერნი | 4,4 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10.0 | 3.4 |
| 5127 | ჰერტა-მაინცი | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,5 | 5,0 | 10,0 | 20,0 | 10.0 | 10.0 |
| 5128 | ჰამბურგი-ნიურნბერგი | 2,7 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,0 | 20,0 | 10.0 | 6.0 |
| 5129 | კაიზერსლაუტერნი-შტუტგარტი | 4,4 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10.0 | 3.3 |
| 5130 | ფრაიბურგი-მიონხენგლადბახი | 2,9 | 10,0 | 20,0 | 3,8 | 4,4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.6 |
| 5131 | არმინია-ბოხუმი | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5.3 | 20.0 | 10,0 | 4.4 |
| 5132 | შალკე-ჰანზა | 1,9 | 15,0 | 30,0 | 3,5 | 5,0 | 11.0 | 20,0 | 11.0 | 11.0 |
| 5133 | დორტმუნდი-ჰანოვერი | 1,9 | 15,0 | 30,0 | 3,5 | 5,0 | 11,0 | 20,0 | 11.0 | 11.0 |
| 5134 | ვერდერი-ვოლფსბურგი | 1,8 | 15,0 | 30,0 | 3,5 | 5,3 | 12,0 | 20,0 | 12.0 | 12.0 |
| 5138 | ნუმანსია-ბეტისი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10.0 | 4.0 |
| 5139 | ატლეტიკო-მალაგა | 2,6 | 10,0 | 20,0 | 3,6 | 4,4 | 7,5 | 20,0 | 10.0 | 6.5 |
| 5140 | ესპანიოლი-დეპორტივო | 4,4 | 10,0 | 20,0 | 5,0 | 4,4 | 4,4 | 20,0 | 10.0 | 3.5 |
| 5141 | ოსასუნა-ბილბაო | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,8 | 20,0 | 10.0 | 4.2 |
| 5142 | სევილია-ალბასეტე | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,6 | 9.0 | 20,0 | 10.0 | 8.0 |
| 5143 | სოსიედადი-ლევანტე | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,6 | 9,0 | 20,0 | 10.0 | 8.0 |
| 5144 | სარაგოსა-ხეტაფე | 2,3 | 10,0 | 20,0 | 3,5 | 4,6 | 9,0 | 20,0 | 10.0 | 8.0 |
| 5145 | მალიორკა-რეალი | 7,0 | 10,0 | 20,0 | 7,5 | 4,4 | 3,5 | 20,0 | 10.0 | 2.5 |
| 5146 | რასინგი-ბარსელონა | 6,5 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,4 | 3,6 | 20,0 | 10.0 | 2.6 |
| 5147 | ვალენსია-ვილიარეალი | 2,0 | 12,0 | 25,0 | 3,5 | 4,8 | 11,0 | 20.0 | 11.0 | 11.0 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 5513 | ბლექბერნი-მანჩესტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5514 | ასტონ ვილა-ნიუკასლი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5515 | ჩელსი-საუთჰემპტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5516 | ევერტონი-ვესტ ბრომვიჩი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5517 | სიტი-ჩარლტონი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5518 | მიდლსბრო-კრისტალ პალასი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5519 | ტოტენჰემი-ბირმინგემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5520 | ნორვიჩი-არსენალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5521 | ბოლტონი-ლივერპული | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5522 | პორტსმუთი-ფულემი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5526 | ლევერკუზენი-ბაიერნი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5527 | ჰერტა-მაინცი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5528 | ჰამბურგი-ნიურნბერგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5529 | კაიზერსლაუტერნი-შტუტგარტი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5530 | ფრაიბურგი-მიონხენგლადბახი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5531 | არმინია-ბოხუმი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5532 | შალკე-ჰანზა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5533 | დორტმუნდი-ჰანოვერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5534 | ვერდერი-ვოლფსბურგი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5538 | ნუმანსია-ბეტისი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5539 | ატლეტიკო-მალაგა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5540 | ესპანიოლი-დეპორტივო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5541 | ოსასუნა-ბილბაო | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5542 | სევილია-ალბასეტე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5543 | სოსიედადი-ლევანტე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5544 | სარაგოსა-ხეტაფე | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5545 | მალიორკა-რეალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5546 | რასინგი-ბარსელონა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5547 | ვალენსია-ვილიარეალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 5313 | ბლექბერნი-მანჩესტერი | 1,7 | 1,9 |
| 5314 | ასტონ ვილა-ნიუკასლი | 1,7 | 1,9 |
| 5315 | ჩელსი-საუთჰემპტონი | 1,9 | 1,7 |
| 5316 | ევერტონი-ვესტ ბრომვიჩი | 1,7 | 1,9 |
| 5317 | სიტი-ჩარლტონი | 1,7 | 1,9 |
| 5318 | მიდლსბრო-კრისტალ პალასი | 1,8 | 1,8 |
| 5319 | ტოტენჰემი-ბირმინგემი | 1,7 | 1,9 |
| 5320 | ნორვიჩი-არსენალი | 1,85 | 1,75 |
| 5321 | ბოლტონი-ლივერპული | 1,7 | 1,9 |
| 5322 | პორტსმუთი-ფულემი | 1,7 | 1,9 |
| 5326 | ლევერკუზენი-ბაიერნი | 1,6 | 2,0 |
| 5327 | ჰერტა-მაინცი | 1,65 | 1,95 |
| 5328 | ჰამბურგი-ნიურნბერგი | 1,65 | 1,95 |
| 5329 | კაიზერსლაუტერნი-შტუტგარტი | 1,65 | 1,95 |
| 5330 | ფრაიბურგი-მიონხენგლადბახი | 1,65 | 1,95 |
| 5331 | არმინია-ბოხუმი | 1,6 | 2,0 |
| 5332 | შალკე-ჰანზა | 1,7 | 1,9 |
| 5333 | დორტმუნდი-ჰანოვერი | 1,7 | 1,9 |
| 5334 | ვერდერი-ვოლფსბურგი | 1,7 | 1,9 |
| 5338 | ნუმანსია-ბეტისი | 1,65 | 1,95 |
| 5339 | ატლეტიკო-მალაგა | 1,65 | 1,95 |
| 5340 | ესპანიოლი-დეპორტივო | 1,65 | 1,95 |
| 5341 | ოსასუნა-ბილბაო | 1,6 | 2,0 |
| 5342 | სევილია-ალბასეტე | 1,7 | 1,9 |
| 5343 | სოსიედადი-ლევანტე | 1,7 | 1,9 |
| 5344 | სარაგოსა-ხეტაფე | 1,65 | 1,95 |
| 5345 | მალიორკა-რეალი | 1,65 | 1,95 |
| 5346 | რასინგი-ბარსელონა | 1,6 | 2,0 |
| 5347 | ვალენსია-ვილიარეალი | 1,7 | 1,9 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5213 | ბლექბერნი-მანჩესტერი | 1,85 | 1.75 |
| 5214 | ასტონ ვილა-ნიუკასლი | 1.75 | 1,85 |
| 5215 | ჩელსი-საუთჰემპტონი | 1,95 | 1.65 |
| 5216 | ევერტონი-ვესტ ბრომვიჩი | 1,8 | 1,8 |
| 5217 | სიტი-ჩარლტონი | 1,85 | 1,75 |
| 5218 | მიდლსბრო-კრისტალ პალასი | 1,9 | 1,7 |
| 5219 | ტოტენჰემი-ბირმინგემი | 1,75 | 1,85 |
| 5220 | ნორვიჩი-არსენალი | 1,95 | 1,65 |
| 5221 | ბოლტონი-ლივერპული | 1,9 | 1,7 |
| 5222 | პორტსმუთი-ფულემი | 1,8 | 1,8 |
| 5226 | ლევერკუზენი-ბაიერნი | 2,0 | 1,6 |
| 5227 | ჰერტა-მაინცი | 2,1 | 1,55 |
| 5228 | ჰამბურგი-ნიურნბერგი | 2,0 | 1,6 |
| 5229 | კაიზერსლაუტერნი-შტუტგარტი | 1,85 | 1,75 |
| 5230 | ფრაიბურგი-მიონხენგლადბახი | 1,9 | 1,7 |
| 5231 | არმინია-ბოხუმი | 1,9 | 1,7 |
| 5232 | შალკე-ჰანზა | 2,1 | 1,55 |
| 5233 | დორტმუნდი-ჰანოვერი | 2,1 | 1,55 |
| 5234 | ვერდერი-ვოლფსბურგი | 2,1 | 1,55 |
| 5238 | ნუმანსია-ბეტისი | 1,7 | 1,9 |
| 5239 | ატლეტიკო-მალაგა | 1,75 | 1,85 |
| 5240 | ესპანიოლი-დეპორტივო | 1,7 | 1,9 |
| 5241 | ოსასუნა-ბილბაო | 1,65 | 1,95 |
| 5242 | სევილია-ალბასეტე | 1,75 | 1,85 |
| 5243 | სოსიედადი-ლევანტე | 1,75 | 1,85 |
| 5244 | სარაგოსა-ხეტაფე | 1,75 | 1,85 |
| 5245 | მალიორკა-რეალი | 1,95 | 1,65 |
| 5246 | რასინგი-ბარსელონა | 1,85 | 1,75 |
| 5247 | ვალენსია-ვილიარეალი | 1,85 | 1,75 |

# გაიხსენი!

## ჩეხური ფეხბურთის დედააზრი სწორი და უბრალოა: გაიხსენი, მიიღე, ბურთი მიეცი. ჩეხები ცხოვრებაშიც ასე იქცევიან: საქმისთვის მუდამ გახსნილები არიან

*„ამერი“ ჩეხურ შეკრებაზე რომ მიდიოდა, კლუბის პრესსამსახურის უფროსს, ძველ სარბიელელ გიორგი დარჯანიას ვთხოვეთ, ჩამოსვლის მერე საგაზეთოდ ჩეხურ ფეხბურთზე შთაბეჭდილებები დაეწერა. ჩეხური ფეხბურთი, განსაკუთრებით კი სანაკრებო ხომ ერთ-ერთი საუკეთესოა ევროპაში და ამდენად, იქაური საფეხბურთო შთაბეჭდილებები ჩვენთვისაც საინტერესო და სამაგალითო უნდა იყოს.*

ჩეხეთში გამგზავრების წინ „სარბიელის“ რედაქტორმა დარიგებასავით გამაყოლა, ქუჩაში შემთხვევით კარელ პობორსკი თუ შეგეჩეხება, ქუჩის მეორე მხარეს არ გადახვიდე, გამოელაპარაკეო. ყასიდად დავპირდი, აუცილებლად-მეთქი. წარმოიდგინეთ, რამდენია იმის ალბათობა, რომ ქუჩაში, სადაც სულ ორჯერ გავიარე, ნაკრების რომელიმე ფეხბურთელს გადავყროდი. მაგრამ...

ქუჩაში არა, მაგრამ ტეპლიცეს სტადიონის ვიწრო დერეფანში კარელ რადას კი შევეჩეხე, 1996 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალის მონაწილეს და... გვერდი ავუარე. გამოსალაპარაკებლად დრო არც მე მქონდა და არც იმას. მე მენეჯერის ოფისში მივდიოდი ოქმის შესავსებად, რადა კი მოთელვაზე გადიოდა...



თავმოტვლეპილმა კარელ რადამ „ამერთან“ ძალიან კარგად ითამაშა. ცოტა კი დაბერდა, მაგრამ გამოცდილება მაინც რამდენს ნიშნავს...

⚽ ⚽ ⚽

ჩეხური ფეხბურთი გვარიანად განსხვავდება დანარჩენი მსოფლიოს ფეხბურთისგან. საქმე ის კი არ არის, რომ ჩეხები რაღაც განსაკუთრებულად თამაშობენ, ისე, როგორც არსად და არავინ — ჩეხები რომ თამაშობენ, ეგეთ ფეხბურთს ნახევარი მსოფლიო თამაშობს. საქმე სხვა რამეშია, ფეხბურთისადმი სრულიად უნიკალურ დამოკიდებულებაში, როგორსაც ვერსად წააწყდებით.

ჩეხეთში დაუწერელი კანონია, უკლებლივ ყველა გუნდმა ერთ ხაზზე მყოფი ოთხი მცველით უნდა ითამაშოს.

როცა ჩვენმა უშუალო მასპინძელმა, „ბლშანის“ მენეჯერმა ეს მითხრა, ვიფიქრე, კარგად ვერ გავიგე-მეთქი და ჩავეკითხე, ალბათ, გუნდების უმრავლესობა ასეთი სქემით თამაშობს-მეთქი. არაო, უმრავლესობა კი არა, ყველა, ფედერაციის დირექტივა ასეთიაო.

ცხადია, გამიკვირდა, ფედერაციას რა უფლება აქვს, გუნდის მწვრთნელს ტაქტიკა დაუწესოს. გაკვირვების პასუხად კი მოვისმინე: ყველა გუნდი ნაკრების ტაქტიკით უნდა თამაშობდეს, ეს ჩეხური ფეხბურთის განვითარების სტრატეგიული გეგმაა და არავის მოუვა აზრად, შეეწინააღმდეგოს, რა არის ამაში გაუგებარიო.

ძალიანაც ბევრი რამ.

ზოგადი მსჯელობით რომ ვერაფერი ავუხსენი, კონკრეტულ მაგალითზე გადავედი: დავუშვათ, „ბლშანმა“ მწვრთნელად ზეპ პიონტეკი დანიშნა და მას სამი მცველით, ან ლიბეროთი თამაში უნდა, რა, აუკრძალავთ-მეთქი?

— საერთოდ არ დავნიშნავთ მწვრთნელადო.

მერე სხვა მხრიდან მოვუარე. კარგი ბატონო, ყველა გუნდი ნაკრების ტაქტიკით თამაშობს, მაგრამ ნაკრების მწვრთნელმა რომ შეცვალოს ტაქტიკა, მერე რას შვრებით-მეთქი? ვერ შეცვლის, ეს სისტემა ჩვენში ნახევარი საუკუნე მოქმედებს და ვის მისცემენ შეცვლის უფლებასო.

ერთი სიტყვით, ვერაფერი გავაწყე და ორივენი ჩვენს აზრზე დავრჩით. მესმის, რომ დღეს გუნდების დიდი ნაწილი სწორედ ოთხი მცველით თამაშობს, მაგრამ ეს ხომ მათთვის არავის დაუძალებია, თავად ჩათვალეს, რომ მათი თამაში ასე უფრო ეფექტური იქნებოდა. მაგრამ ფედერაციიდან დირექტივა მოდიოდეს, პირველად გავიგე.

მერე, როცა „ამერმა“ ამხანაგური მატჩები ჩაატარა, მართლა ყველა მეტოქე აბსოლუტურად ერთნაირი ტაქტიკით თამაშობდა: გამბრინუსლიგის გუნდებიც, მესამე ლიგისაც და ის გუნდიც, შარშან მეოთხე ლიგაში რომ თამაშობდა.

⚽ ⚽ ⚽

ჩეხეთში სულ ათი ლიგაა. ამათგან სამი ლიგის გუნდების თამაშები ვნახე და მათ შორის განსხვავება მხოლოდ ფეხბურთელთა კლასშია. საკმარისია, ერთი გუნდის თამაში ნახო და მთელ ჩეხურ ფეხბურთზე წარმოდგენა გექმნება.

და მთავარი, რასაც დავაკვირდი: მთელი სისტემა ისეა აწყობილი, რომ ჩვეულებრივი ნიჭის მქონე ბავშვისგან კარგი, მუშა ფეხბურთელი გამოიძერწოს.

მიიღე ბურთი, კაცი გაგეხსნა, პასი მიეცი — აი, ეს არის მთელი ჩეხური ფეხბურთი და კაცმა რომ თქვას, მთელი თანამედროვე ფეხბურთიც გამორიცხულია, ვინმემ ბურთი დიდხანს ათრიოს, დრიბლინგი მოინდომოს, ორ მოწინააღმდეგეს შორის გაძრომა გადაწყვიტოს. მიიღე, გაგეხსნა, პასი — მხოლოდ ეს, სამი-ოთხი გადაცემის მერე კი კარში დარტყმა.

⚽ ⚽ ⚽

მოდით, ავიღოთ, საშუალო ნიჭის მქონე მოზარდი ფეხბურთელი. არ მჯერა, რომ თავდაუზოგავი ვარჯიშით ბურთის მიღებას ვერ ისწავლის. არც ის მჯერა, მწვრთნელი ასჯერ რომ გაუმეორებს, თანაგუნდელს ბურთი ამა და ამ ზონაში როცა აქვს, აქეთ უნდა გაეხსნაო, ასმეერთედ მაინც ვერ დაიმახსოვროს. და არც იმის მჯერა, ბევრი მეცადინეობით გახსნილ თანაგუნდელს იდეალური თუ არა, მეტნაკლებად ზუსტი პასი ვერ მისცეს. ჰოდა, ეგეც თქვენი კარგი მუშა ფეხბურთელი, რომელიც მარადონასავით მარტოკა თამაშს ვერ მოიგებს, ლიდერი ვერ იქნება, მაგრამ გუნდის საერთო სათამაშო სქემაში კარგად ჩაჯდება და სარგებელს მოიტანს.

ოღონდ, რაც ზემოთ ვთქვი, იმის შესასრულებლად რამდენიმე აუცილებელი პირობა უნდა არსებობდეს: კარგი მწვრთნელი, მოედანი და, თვითონ ფეხბურთელი უნდა იყოს ძალიან მონდომებული.

⚽ ⚽ ⚽

ბაზაზე, სადაც „ამერი“ ცხოვრობდა, „ბლშანის“ ასაკობრივი გუნდებიც ვარჯიშობდნენ. ბავშვთა გუნდების ვარჯიში წინა ზაფხულში, გერმანიაში შეკრების დროსაც ვნახე. მაგრამ არც ჩეხეთში და არც გერმანიაში არ მინახავს, მწვრთნელს ერთფეროვანი, ან ფიზიკურ მომზადებაზე გათვლილი ვარჯიშები ჩაეტარებინოს ბავშვებისთვის. ანუ ბავშვთა ფეხბურთი იმაზეა გათვლილი, რომ ბავშვმა, უბრალოდ, ბურთთან ურთიერთობა ისწავლოს, დიდი ფიზიკური დატვირთვით არ გადაიწვას და ხალისით ივარჯიშოს. თანაც შედეგს არავინ ითხოვს. შედეგისთვის ბრძოლა მოგვიანებით იწყება.

ზემოთ ფეხბურთელის მონდომება ვახსენე. თითქოს ბუნებრივია, რომ ეგრეც უნდა იყოს. მაგრამ ერთი და ორი ნიჭიერი ადამიანი გინახავთ, შრომა რომ ეზარება?

„ბლშანის“ ბაზაზე ერთი 17 წლის ბიჭი მუშაობდა, პატრიკი. დამხმარედ ჰყავდათ, სადილის მერე თეფშები სამზარეულოში გაჰქონდა და რაღაც მსგავს სამუშაოს ასრულებდა. თავიდან, რამდენიმე დღე მისთვის ყურადღება არ მიმიქცევია. ერთხელაც, მეორე დღეს ჩვენი მეორე შემადგენლობა „ბლშანის“ ჭაბუკთა გუნდს უნდა შეხვედროდა და მეტოქის ვარჯიშის სანახავად წავედი. ვხედავ, პატრიკი ამ გუნდის მეკარე ყოფილა. მეორე დღეს ძალიან კარგად იდგა კარში, პენალტიც აიღო. ამის მერე კარგად გავიცანი.

ღარიბი სოფლელი ბიჭი იყო. ბლშანიდან ხუთ კილომეტრში ცხოვრობდა და სახლში კვირაში ერთი დღით ახერხებდა ჩასვლას. ბაზაზე ცხოვრობდა და ვარჯიშისგან თავისუფალ დროს, როგორც მოგახსენეთ, იქვე მუშაობდა. ვარჯიშით კი, თავს იკლავდაო, რომ ამბობენ, ეგრე ვარჯიშობდა. უბრალოდ, იცოდა, რომ ცხოვრებაში რაღაცის მისაღწევად ერთადერთი ვარიანტი ჰქონდა — კარგი ფეხბურთელი უნდა გამოსულიყო. მათმა მეკარეების მწვრთნელმა მითხრა, 19-წლამდელთა ნაკრების კანდიდატიაო.

რატომღაც დარწმუნებული ვარ, პატრიკი კარგი მეკარე იქნება და ჩეხეთის რომელიმე კარგ გუნდში ითამაშებს.

⚽ ⚽ ⚽

და მოედნები. საქართველოში მართლა კარგი მოედნები რომ დაითვალო, ერთი ხელის თითები გეყოფა და შეიძლება, ისიც ზედმეტი აღმოჩნდეს. ამ დროს მხოლოდ ბლშანში ექვსი ერთიმეორეზე უკეთესი მოედანია. და რა არის ბლშანი — ერთი სურსათის მაღაზია, ერთი ბარი, ერთიც გარაჟში მოწყობილი პროფილაქტიკა და სამასიოდე მაცხოვრებელი, მეტი არაფერი. წინდა რომ დაგეხას, ვერ იყიდი, უფრო მოზრდილ მეზობელ სოფელში უნდა წახვიდე. ჩეხეთში პრალის რამდენიმე მაღაზიის გარდა ევროს არსად იღებენ. კრონებზე დახურდავება რომ მინდოდა, უახლოეს პუნქტში წავედი. ეს უახლოესი პუნქტი კარლოვი ვარიში, ბლშანიდან მანქანით 35 წუთის სავალზე იყო.

და ასეთ პაწაწინა სოფელში ექვსი ერთიმეორეზე უკეთესი მოედანია. თბილისში რომ ვბრუნდებოდით, „ბლშანის“ პრეზიდენტმა დამშვიდობებისას მითხრა, გაისად კიდევ სამი ახალი მოედანი დაგხვდებათო.

⚽ ⚽ ⚽

„ბლშანის“ ბაზაზე სამრეცხაოში გადასარევი ახალგაზრდა ქალი მუშაობდა. უმოკლესი კაბებით და ულრმესი დეკოლტიანი მაისურებით დადიოდა. ისეთ დასაზარებელ სამუშაოს, როგორიც ვარჯიშის მერე ფორმის სამრეცხაოში წაღებაა, მე და „ამერის“ ადმინისტრატორი სიამოვნებით ვასრულებდით. გაცნობის მეორე თუ მესამე დღეს კი გავიგეთ, რომ „ბლშანის“ პრეზიდენტის ცოლი ყოფილა...

⚽ ⚽ ⚽

ახლა კიდევ ერთხელ ვიტყვი: ჩვეულებრივი ნიჭის მქონე ფეხბურთელს, რომელმაც იცის, რომ ცხოვრებაში რამეს ფეხბურთით თუ მიაღწევს, რომელსაც კარგი მწვრთნელი ჰყავს და საუკეთესო მოედანზე ვარჯიშობს, ძალიან დიდი შანსი აქვს, კარგი საფეხბურთო კარიერა გაიკეთოს. ხოლო თუ ძალიან ნიჭიერი იქნა, ბევრად მეტს მიაღწევს. სხვათა შორის, „ბლშანიდან“ დაიწყო პეტერ ჩეხის აღმასვლა, ამ პაწაწინა სოფლის გუნდიდან.

ისეთი ბაზის გაკეთებას, როგორიც „ბლშანს“ აქვს, ბევრი ფული სჭირდება, ფულს კი მოგეხსენებათ, შოვნა უნდა. მასპინძელს გულახდილი საუბრისას ვკითხე, შემოსავლის რა წყაროები გაქვთ-მეთქი.

ყველაზე უმნიშვნელო შემოსავალს ბილეთების გაყიდვით ვიღებთო (ბილეთი ჩვენს ფულზე 4-6 ლარი ღირს). მთავარი შემოსავალი კი სპონსორებიდან და ტრანსფერებიდან გვაქვსო.

როცა პეტერ ჩეხი „ბლშანში“ მივიდა, არაფერიც არ ღირდა. მოგვიანებით, როცა „სპარტაში“ გაყიდეს, რამდენიმე მილიონი დოლარი აიღეს. ჩეხში აღებული ფულით ბევრი რამ გააკეთეს და რამდენიმე ფეხბურთელიც იყიდეს. ერთზე შევჩერდეთ: ორი წლის წინ „ბლშანმა“ პრაღის „სლავიასგან“ 100 ათას დოლარად ტომაშ პესირი იყიდა. ახლა „ლიბერეცი“ ამ ფეხბურთელში 700 ათასს სთავაზობს, ბლშანელები კი მილიონ ორასი ათასს ითხოვენ.

თუნდაც 700 ათასად რომ გაყიდონ, მოგება მაინც ძალიან დიდია... ოღონდ, გააჩნია ვისთვის.

⚽ ⚽ ⚽

ჩეხეთში ორი არაბი გავიცანი რომელიღაც დუბაური კლუბის მწვრთნელი და მენეჯერი. გაცნობისთანავე მენეჯერმა ფოტოალბომი გამოიწოდა, დაათვალიერეო. გადავშალე: მენეჯერი პაველ ნედვედთან ერთად; მენეჯერი ჯანლუიჯი ბუფონთან ერთად; მენეჯერი დავიდ ტრეზეგესთან ერთად და ასე შემდეგ 36 ფოტო. არაბი მენეჯერი ძალიან ამაყი იყო და ფოტოების თვალიერებისას განსაკუთრებული აღფრთოვანება რომ ვერ შემატყო, გული დასწყდა.

საერთოდ კი, ფეხბურთის გაგებაში არ იყვნენ.

ალბათ დაინტერესდებით, მაშინ ფეხბურთში რა ესაქმებათო? საქმე ის არის, რომ საამიროების მთავრობას ფეხბურთის განვითარების პროგრამა შეუმუშავებია და თითოეულ კლუბს წელიწადში 5 მილიონ დოლარს აძლევს. ჰოდა, ამათაც რა ენაღვლებათ.

⚽ ⚽ ⚽

აი, სულ ეს იყო ჩემი ჩეხური საფეხბურთო შთაბეჭდილებები და, მგონი, რედაქტორის დავალებაც შევასრულე, მაგრამ გული არ მითმენს, ბოლოს ერთი არასაფეხბურთო შთაბეჭდილებაც არ გაგიზიაროთ: ჩეხეთში, თუ მაინცდამაინც პრაღის ცენტრში ძვირიან ბარში არ შეხვალთ, ლუდი ჩვენს ფულზე 70 თეთრიდან ერთ ლარამდე ღირს. სად არის სამართალი, თორემ ჩვენებური ლუდი ჩეხურზე ძვირი როგორ უნდა ღირდეს...

**გიორგი დარჯანია**

UEFA CUP

# უეფას თასი 2004-2005

მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი

UEFA CUP

# ახალი დინამოელები



ლევან მელქაძის გოლმა „დინამოს“ ძალა მისცა და თამაშიც გარდატეხა

**დავით თავართქილაძე**

ქართულში არ არის FORZA და COME ON, მაგრამ ქართული „დინამო“ ალბათ ყველა „დინამოზე“ კარგად ჟღერს — გუშინ სწორედ ეს გემრიელი „დინამო“! „დინამო“! იყო.

გუშინდელი დღე გია გეგუჩაძემ და მისმა ბიჭებმა გვაჩუქეს — გამარჯვების მონატრებული გემო ერთხელაც გავიხსენეთ — „დინამომ“ სტუმრად წაგებული მატჩი თბილისში შემოიტრიალა. პრაღის „სლავიას“ კარგი დრო არ უდგას და ნამატჩევს იოზეფ ცაპლარმა თქვა კიდეც, „სლავიაში“ ძირეული ცვლილებების დრო დადგაო, მაგრამ „სლავია“ საკმაოდ სერიოზული მეტოქე გახლდათ და გეგუჩაძის „დინამომაც“ სერიოზული ნაბიჯი გადადგა წინ.

...დღეს ალენ ჟირესი პრესკონფერენციას მართავს, 4 სექტემბრის თურქეთთან მატჩისთვის გამოძახებულ ფეხბურთელთა სიას გამოამზეურებს და ყველაზე აქტუალური საკითხი ერთი ფეხბურთელის სიაში ყოფნა-არყოფნა უნდა იყოს — გუშინ ჯაბა კანკავამ ლოთარ მათეუსივით ითამაშა და ამ თამამ მეტაფორას მისი საგოლე პასითა და გოლითაც გავამყარებთ.

აგრესიულობა, ბურთის ფლობა, ბურთის ართმევის ტექნიკა და თამაშის წაკითხვა — კანკავამ ყველაფერი ეს გუშინ ფრიადზე შეასრულა. ამ 18 წლის საყრდენმა ნახევარმცველმა წინა სეზონის მეორე ეტაპზე გაგვაცნო თავი, თუმც ასეთ დონეზე მისი ასეთი თამაში, ცოტა არ იყოს, სასიამოვნო მოულოდნელობაც გახლდათ.



ჯაბა კანკავა მარტო კარგი და სასარგებლო მოთამაშე აღარაა, ჯაბა კანკავა სალაპარაკო თემაა

მოულოდნელი არ იყო „დინამოს“ ლაღი თამაში — გეგუჩაძის გუნდი ძალიან ნედლია, მაგრამ ხელწერა უკვე შეიქმნა — რისკიან მწვრთნელს ძალიან ყოჩაღი გუნდი ჰყავს.

„დინამოს“ პირველი მწვავე იერიშები მიხეილ კაკალაძის იყო, პირველი დარტყმა „სლავიას“ კარის მიმართულებით კი კანკავასი. ჩეხები მეტწილად ჯანის, სიმაღლის და ჩაწოდებების ხარჯზე ცდილობდნენ ფონს გასვლას, მაგრამ „დინამო“ მწყობრად ირჯებოდა — რგოლებს შორის უფსკრულები არ ჰქონდა, სინქრონულად თამაშობდა.

კაკალაძე-კანკავა-მელქაძე-რომეროს კომბინაცია რადეკ ჩერნის შორეულ ძელთან ჩასაფრებულ მელქაძეს გოლით უნდა დაესრულებინა, მაგრამ ხარიხას შეაწყვიტა ბურთი.

ცოტაც და, ლაშა სალუქვაძემ მოედნის ცენტრში მოიგდო ბურთი, წინ წაიწია, ერთ მეტოქეს გასცდა და ოცდაათიოდე მეტრიდან უცნაური ტრაექტორიით გაფრენილი ბურთი ისევ ხარიხამ აისხლიტა. „დინამოს“ გამარჯვება სარწმუნო გახდა, ერთხელაც გამოჩნდა, რომ „სლავია“ მისი საკბილო გუნდი იყო. თუმც პრაღელებმა ყველაფერ ამას ლუმირ სედლაჩეკის ფლანგური ჯარიმით უპასუხეს — ირაკლი ზოიძემ ბურთი კუთხურზე მოიგერია.

კაკალაძემ კი რეტი დასხა „სლავიას“ დამცავ ეშელონებს — მისი დრიბლინგი და თამაშის გამწვავების უნარი ჩინებული გახლდათ, თუმც გოლი არა და არ გადიოდა. ბურთის ფლობის ოსტატობა გიორგი ნემსაძემაც გვიჩვენა და „დინამო“ ცენტრიდანაც უმტვრევდა საკეტურებს „სლავიას“.

მელქაძეს გოლის გატანის მორიგი შანსი დავით კვირკველიას მოხდენილი ფლანგური გარღვევის და ჩაწოდების შემდეგ მიეცა, მაგრამ იმ ეპიზოდში ვერ იყოჩაღა. თუმც მესამე ცდაზე მელქაძე საგოლედ გაისარჯა — კანკავამ ეფექტურად აართვა ბურთი მეტოქეს, წინ გაიჭრა და თამაშგარეს ზღვარზე მყოფ მელქაძეს გადააწოდა, მელქაძე ჩერნისთან პირისპირ დარჩა, პატარა პაუზა გააკეთა და საყვარელი ცაციის ნაცვლად მარჯვენათი აფართხალა ბურთი ბადეში.

მატჩის წინა დღეს ცაპლარი დაგვპირდა, ჩემი გუნდი აქტიურ ფეხბურთს ითამაშებსო. ამის მცდელობა პირველ ტაიმში მართლაც იყო, მაგრამ შესვენების შემდეგ „სლავია“ უფრო ანგარიშის შენარჩუნებაზე მოთამაშე გუნდს ჰგავდა. ჩეხებმა თამაშის ჩაკეტვა სცადეს, მაგრამ მათ ამის ნება კვირკველიამ არ დართო — დავითმა პატარ-პატარა, მაგრამ ნამდვილი წარმოდგენები მოაწყო. თუმც მთელი „დინამო“ ქების ღირსია, გუნდმა, ფაქტობრივად, უშეცდომოდ ითამაშა, „სლავიას“ ერთი რეალური საგოლე მომენტიც არ შეუქმნია.

და მეორე, უეფას თასის მესამე, ბოლო საკვალიფიკაციო ეტაპზე გამყვანი გოლიც — მელქაძემ ბურთი კარგად მოიგდო, მერე კანკავას დაუგორა, ვინც 17-18 მეტრიდან ცაციით დაარტყა, რიკოშეტი, ბურთი ჩერნის თავზე გადაევლო და 2:0.

ახალმა დინამოელებმა ქართული საკლუბო ევროფრონტი შემოდგომამდე გაწელეს — ისინი მართლაც ახალი დინამოელები არიან.

თბილისი. 26 აგვისტო. 20 საათი. ეროვნული. 10 000 (ტევადობა 70 000)

## დინამო 2:0 სლავია

1:0 მელქაძე (44), 2:0 კანკავა (65)

დინამო: 1 ზოიძე; 4 სალუქვაძე, 2 ხიზანეიშვილი, 5 შაშიაშვილი, 16 კვირკველია; 23 კანკავა, 3 კანდელაკი; 7 ნემსაძე; 21 კაკალაძე, 25 რომერო; 18 მელქაძე

მწვრთნელი გია გეგუჩაძე

სლავია: 10 ადაუტო, 16 ფორტი; 9 კუკა; 18 სედლაჩეკი, 23 პიტაკი; 5 შვეცი; 2 კრატოხვილი, 24 ზეიზლი, 6 ლატკა, 4 დოშეკი; 1 ჩერნი

მწვრთნელი იოზეფ ცაპლარი

შეცვლა: ზოიძე –12. მამალაძე (75), რომერო – 6. ალადაშვილი (46), ფორტი –14. გედეონი (46), ნემსაძე – 8. ბურდული (52), ადაუტო – 25. კალივოდა (61), კრატოხვილი –13. ხლებუნი (73)

გაფრთხილება: კანდელაკი (23), კრატოხვილი (39), სალუქვაძე (70), კუკა (78), კანკავა (83), მელქაძე (88)

მსაჯები: ბერნარდ ბრუგერი; ნორბერტ შვაბი, კრისტიან შტრუცი; ლუის ჰოფმანი (ყველა ავსტრია)

უეფას ინსპექტორი: ეუგენ შტრაიგელი (გერმანია)

უეფას დელეგატი: ალესანდრო ლული (იტალია)

## პრესკონფერენცია





იოზეფ ცაპლარი: ძალიან გულგატეხილი ვარ, არ მეგონა, დღეს თუ წავაგებდით. „დინამოს“ დამსახურებულ გამარჯვებას ვულოცავ. ორივე მატჩში ქართველები ჩვენზე უკეთ გამოიყურებოდნენ და ვფიქრობ, შედეგი ლოგიკურია.

...„სლავიაში“ ბევრი რამაა შესაცვლელი, ამაში დღესაც დავრწმუნდი. არადა, საშინაო 3:1-ის მერე მჯეროდა, რომ შემდეგ ეტაპზე ჩვენ გავიდოდით. სამწუხაროდ, ყველაფერი სხვაგვარად მოხდა.

გია გეგუჩაძე: მიხარია, რომ ეს ბარიერი დავძლიეთ, ჩემი აზრით, გუნდმა შეუძლებელიც კი გააკეთა. ორბურთიანი სხვაობის გაბათილება ურთულესი იყო, მაგრამ ჩვენ ეს შევძელით. დღევანდელი მოგება მთლიანად ფეხბურთელების დამსახურებაა.

...ეს შედეგი ჩვენთვის მაქსიმუმი სულაც არაა, „დინამოს“ კიდევ ბევრი შეუძლია. უბრალოდ, ჩვენ ჯერაც ახალგაზრდა გუნდი ვართ და მთავარია, სწორად ვიმუშავოთ. ჩემი უმთავრესი ამოცანაც გუნდის შენებაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარშავა. 26 აგვისტო. 19 საათი. ვოისკა პოლსკი

## ლეგია 6:0 თბილისი

პირველი მატჩი 1:0

1:0 ვლოდარჩუკი (63), 2:0 მაგიერა (24), 3:0, 4:0 ვლოდარჩუკი (45, 52), 5:0 საგანოვსკი (81), 6:0 სოკოლოვსკი I (84)

**ლეგია:** ბორუცი, შალა (პოლედიცა 56), იოჟვიაკი, იარჟებოვსკი (სმოლინსკი 65), სურმა, ვლოდარჩუკი (კორზიმი 71), საგანოვსკი, კიელბოვიჩი, მაგიერა, სოკოლოვსკი I, რზეჟნიჩაკი
*სათადარიგონი:* კრჟიშტალოვიჩი; სოკოლოვსკი II, დუდეკი, რობლევსკი
**მწვრთნელი:** დარიუშ კუბიცკი

**თბილისი:** დევაძე, კვარაცხელია, მიკუჩაძე (მიქაძე 46), გ. ნუგ. ჭელიძე, ხოჯავა, აფციაური, ოდიკაძე, გეწაძე (ელიავა 64), ფიფია, ქემოკლიძე, გოგუა (მესხი 74)
*სათადარიგონი:* შეყრილაძე; ლოლაძე, ორბელაძე, სამხარაძე
**მწვრთნელი:** გიორგი დევდარიანი

**გაფრთხილება:** ხოჯავა, გეწაძე (55), აფციაური (62), გოგუა (75), მესხი (80), სოკოლოვსკი I (82)

**გაძევება:** აფციაური (89)

**მსაჯები:** ი. სერეა; მ. სავანიუ, ა. ვიდანუ; ს. კლოტესკუ (ყველა რუმინეთი)

# ვარშავაში ვარ შავ დღეში



*დავით ერაძე ვარშავიდან*

ვარშავაში ცოტამ თუ იცის, რომ დღეს ფეხბურთია და განსაკუთრებული აჟიოტაჟიც არ იგრძნობა. უმეტესობამ, მგონი, არც იცის, რომ ცოტა ხანში მათი „ლეგია" უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის საპასუხო მატჩში „თბილისს" მასპინძლობს.

არ გამართლდა პოლონელი სინოპტიკოსების პროგნოზიც: ნავარაუდევი წვიმის ნაცვლად დილიდან მზემ გამოანათა და საკმაოდ დათბა.

ქომაგთაგან განსხვავებით, მატჩს პოლონური მედია აქტიურად გამოეხმაურა. „თბილისის" შესახებ ყველაზე მეტი „ჟიჩე ვარშავიმ" დაწერა. ამ გაზეთის ჟურნალისტებმა ქართული გუნდის შემადგენლობაც კი გამოიცნეს.

პოპულარული პოლონური ჟურნალი „პილკა ნოჟნა" კი პირდაპირ ითხოვს „ლეგიასგან" ქართველების ჩაყლაპვას.

მეტად საინტერესო და თან უცნაური სტატისტიკა გამოაქვეყნა „გოლოს ვარშავიმ" — კითხვაზე, რატომ უნდა მოიგოს „ლეგიამ", პასუხი ასეთია: დაარსების წლები: „ლეგია" — 1916, „თბილისი" — 2001; უმაღლეს ლიგაში გატარებული სეზონი: 69-2; ევროსეზონი: 23-1; ჩემპიონატში გატანილი გოლები: 1 780-34; სტადიონის ტევადობა: 14 500-2 000; ნაკრების კანდიდატები: 10-3.

მართლაც შთამბეჭდავი „უპირატესობა" აქვს „ლეგიას".

თამაშამდე კი არც ისე დიდი დრო რჩება. „ვოისკა პოლსკის" სტადიონზე მაყურებელი იყრის თავს, ახლა როგორ ხმაურობენ და თამაშისას რას იზამენ...

ერთი პოლონელი ჟურნალისტი სიამაყით მეუბნება, „ლეგია" ვარშავაში ძალიან პოპულარული, ხალხის საყვარელი გუნდიაო. მერე ამატებს, ღმერთმა არ ქნას და, ჩვენებმა თუ წააგეს, კუბიცკისაც მოხსნიან და გუნდშიც დიდი არეულობა დაიწყებაო.

ამ ლაპარაკში ვართ და, სტადიონზე რამდენიმე ქართველი გულშემატკივარი შემოვიდა ხუთჯვრიანი დროშებით — მათ სტუმართათვის გამოყოფილი ადგილები დაიკავეს.

„ლეგიას" სტადიონი კი დიდი ვერაფერი სანახავია, ყოველ შემთხვევაში, სხვა ქვეყნებში ბევრი უკეთესი მინახავს.

გუნდები მოთელვაზე გამოდიან, გულშემატკივარი კი პასიურობს — 14 500-ადგილიანი სტადიონის მეოთხედიც არაა შევსებული.

თამაში დაიწყო და სასულე თუ დასარტყამი ინსტრუმენტებიც „ამოქმედდნენ". ახლა ვხვდები, რომ ვარშაველებს მართლა გიჟური ქომაგობა სცოდნიათ.

ალბათ ხვდებით, რომ დროის სიმცირის გამო წერა ონლაიან-რეჟიმში მიწევს...

თამაში „თბილისმა" დაიწყო, თუმც ძალიან უხეიროდ — ბურთი მალევე დაიკარგა და მასპინძლები გვიტევენ.

მე-5 წუთზე სრულიად უწყინარ სიტუაციაში გოგიტა გოგუამ მარეკ საგანოვსკი დასცა — პენალტი. დარტყმა პიოტრ ვლოდარჩუკმა ითავა — 1:0.

მალე გივი კვარაცხელიამ იხსნა გუნდი — ცარიელი კარიდან მაკრატელათი გამოიტანა ბურთი. „თბილისმა" მასპინძლებს სახიფათო შეტევით უპასუხა: ხოჯავა-ოდიკაძის ორსვლიანი კომბინაცია უშედეგო გამოდგა.

„თბილისი" გააქტიურდა, გულშემატკივრები კი პასიურ ლეგიელებს უსტვენენ. პოლონელები ზუსტ პასსაც ვერ აძლევენ ერთმანეთს და...

რად გინდა... 22-ე წუთზე გოგა ფიფიამ ასპროცენტიანი მომენტი გააფუჭა — სამიოდ მეტრიდან მეკარეს გაარტყა ბურთი.

ამას თბილისელთა დაცვის ჩავარდნა მოჰყვა და იაცეკ მაგიერამ ალოგიკური გოლი გაგვიტანა, 2:0.

და დაიწყო ისევ ჩვენთა შეტევები და... აკაკი მიკუჩაძე, გოგა ფიფია და გიორგი ჭელიძე სახიფათო მომენტებს ანიავებენ.

უკვე ყველაფერი ლოგიკურია — „თბილისის" დაცვა ისევ ჩავარდა და ვლოდარჩუკმა ისევ ახლოდან დაცხრილა აკაკი დევაძე — 3:0.

ტაიმიც აქვე დასრულდა. სტატისტიკა არ გაინტერესებთ? „ლეგიამ" 5-ჯერ დაარტყა კარში და 3 გოლი გაიტანა, „თბილისმა" კი 7-ჯერ დაარტყა და...

მეორე ტაიმი, იგივე სცენარით: თორნიკე აფციაური არტურ ბორუცთან პირისპირ გადის, მაგრამ მეკარემ ფეხით აულო.

ხომ ხვდებით ახლა, ვისი ჯერია? რა თქმა უნდა, პოლონელების — „თბილისს" დაცვა არ ჰყავს, ვლოდარჩუკი ისევ პირისპირ რჩება დევაძესთან და აუღელვებლად გააქვს — 4:0.

საოცრებაა, ამ დროისთვის „თბილისი" მეტოქეს კარში დარტყმებით ორჯერ სჯობს...

81-ე წუთზე „ლეგიამ" ულამაზესი კომბინაცია გაათამაშა, ტომაშ კიელბოვიჩმა საგანოვსკის ბურთი თავზე დაასვა — 5:0.

ბოლო გასროლა უფროსი სოკოლოვსკისა იყო: დევაძესთან პირისპირ (მერამდენედ?!) გასულმა წერტილიც დასვა.



აკაკი დევაძეს ვარშავაში ჭაღარა მოემატა

## პრესკონფერენცია



*დარიუშ კუბიცკი:* მიხარია, რომ ასე შთამბეჭდავად ვითამაშეთ და ლამაზი გოლებიც გავიტანეთ. მეტოქე კარგად შევისწავლეთ და გასაქანი არ მივეცით. ვგრძნობ, რომ თანდათან ვუმატებთ და ეს ძალიან კარგია.



*გიორგი დევდარიანი:* ვულოცავ „ლეგიას" დამსახურებულ მოგებას და მომდევნო მატჩებშიც წარმატებას ვუსურვებ. დღეს მართლაც ფეხაუდგმელ ბავშვებს ვგავდით. შევეცდებით, ამ მწარე წაგებიდან შესაბამისი დასკვნები გამოვიტანოთ.

## უეფას თასი 2004-2005

UEFA CUP II საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩები UEFA CUP

| | | | |
|---|---|---|---|
| მოდრიცა (ბოსნია) | 0:3 | ლევსკი (ბულგარეთი) | (0:5) |
| ეკრანასი (ლიტვა) | 2:1 | ოდ გრენლანდი (ნორვეგია) | (1:3) |
| ლევადია (ესტონეთი) | 7:8 პენ.2:1 დ.დ.(2:1) | ბოდიო გლიმტი (ნორვეგია) | (1:2) |
| რუბინი (რუსეთი) | 0:3 | რაპიდი (ავსტრია) | (2:0) |
| პრიმორიე (სლოვენია) | 2:0 | დინამო (ხორვატია) | (0:4) |
| დნიპრო (უკრაინა) | 1:1 | პეტრჟალკა (სლოვაკეთი) | (3:0) |
| მეტალურგსი (ლატვია) | 1:1 | იოსტერსი (შვედეთი) | (2:2) |
| ჰაკა (ფინეთი) | 1:3 | სტაბეკი (ნორვეგია) | (1:3) |
| მაკაბი (ფ-თ, ისრაელი) | 4:0 | აეკ (კვიპროსი) | (0:3) |
| ზენიტი (რუსეთი) | 2:0 | პაშინგი (ავსტრია) | (1:3) |
| ტირასპოლი (მოლდოვა) | 1:2 | მ. დონეცკი (უკრაინა) | (0:3) |
| სიგმა (ჩეხეთი) | 4:0 | ნისტრუ (მოლდოვა) | (2:1) |
| აკრანესი (ისლანდია) | 1:2 | ჰამარბი (შვედეთი) | (0:2) |
| ვადუცი (ლიხტენშტაინი) | 1:2 | ბევერენი (ბელგია) | (1:3) |
| ლიტექსი (ბულგარეთი) | 7:0 | ჟელეზნიჩარი (ბოსნია) | (2:1) |
| ელფსბორგი (შვედეთი) | 2:1 | გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია) | (1:0) |
| პარტიზანი (სერბეთი) | 1:0 | ოცელული (რუმინეთი) | (0:0) |
| სტიაუა (რუმინეთი) | 1:2 | ჟელეზნიკი (სერბეთი) | (4:2) |
| რიეკა (ხორვატია) | 2:1 | გენჩლერბირლიგი (თურქეთი) | (0:1) |
| ცსკა (ბულგარეთი) | 3:1 დ.დ.(1:1) | ომონია (კვიპროსი) | (1:1) |
| ლეხი (პოლონეთი) | 0:1 | ტერეკი (რუსეთი) | (0:1) |
| ვილი (შვეიცარია) | 1:1 | ბისტრიცა (სლოვაკეთი) | (1:3) |
| მარიბორი (სლოვენია) | 0:1 | ბუდუჩნოსტი (სერბეთი) | (2:1) |
| სერვეტი (შვეიცარია) | 0:2 | უიპეშტი (უნგრეთი) | (1:3) |
| აუსტრია (ავსტრია) | 3:0 | ილიჩევეცი (უკრაინა) | (0:0) |
| დანფერმლაინი (შოტლანდია) | 1:2 | ჰაფნარფიორდური (ისლანდია) | (2:2) |
| ჰონვედი (უნგრეთი) | 4:5 პენ.1:0 დ.დ.1:0 | ამიკა (პოლონეთი) | (0:1) |
| ბრონდბიუ (დანია) | 1:1 | ვენტსპილსი (ლატვია) | (0:0) |
| ოლბორგი (დანია) | 0:0 | შალგირისი (ლიტვა) | (3:1) |
| პარტიზანი (ალბანეთი) | 1:3 | ჰაპოელი (ბ-ს, ისრაელი) | (0:3) |


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი



რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge